ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 2 აგვისტო, 2022 №150 (8928) ფასი: 80 თეთრი

## დავით ჯიჯეიშვილი — ხულიგნობაში თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ — ვაღიარებ, რომ მირიან კუკავა ჩემი მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა



გვ.5

# „ივანიშვილი პოლიტიკაში აღარ შემობრუნდება!“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „ძალიან კარგი იქნება თუ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება. სააკაშვილიც დაისვენებს და ჩვენც“






## „მიხეილ სააკაშვილი უცხოელი პოლიტიკოსია და ქართულ პოლიტიკაში ვერ იქნება“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „არ არის გამორიცხული, რომ „ქართულ ოცნებასა“ და სააკაშვილს შორის კულისებს მიღმა ვაჭრობა მიდიოდეს“



გვ.4

## „სააკაშვილი ნაცმოძრაობას აღარ სჭირდება“

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი ერთადერთი იყო მათ შორის, ვისაც მართლა ჰქონდა ხმების აღების უნარი“

## „ოპოზიციამ თავის ოლიგარქიულ პარტიებს მიხედოს“



გვ.4

აბზორ აბრალავა: „სააკაშვილის ოპონენტი ვარ, მაგრამ ვაცხადებ, არავის აქვს უფლება, მას პოლიტიკაში ყოფნა აუკრძალოს“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები“



გვ.4



გვ.3

## კახა კემოკლიძე: „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილი აუცილებლად ისევ დასჭირდება, როგორც მტერი“

1993230720223

**2** ირაკლი კობახიძე: „ნიკანორ მელიამ გათქვა ტაქტიკა, რომელიც რეალურად აქვთ სააკაშვილის ადვოკატებს“

**3** ზურაბ აზარაშვილი: „სპეკულაციები, თითქოს, ლტოლვილებს ქუჩაში ვტოვებთ, ნამდვილად არასწორია“

**6** რუსეთი თავისი ძალების მნიშვნელოვან ნაწილს დონბასის ჩრდილოეთ სექტორიდან უკრაინის სამხრეთით გადაიყვანს

**6** ქურდს გასალებები დარჩა და მის წასაღებად დანაშაულის ადგილზე დაბრუნდა

# „ივანიშვილი პოლიტიკაში აღარ შემობრუნდება!“

## გია ხუხაშვილი: „ძალიან კარგი იქნება თუ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება. სააკაშვილიც დაისვენებს და ჩვენც“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



***– ბატონო გია, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ივანიშვილის სახით „ქართულმა ოცნებამ“ მძიმე არტილერია ჩართო პროცესებში, რადგან ძალიან გაუჭირდათო. ნაწილი ფიქრობს, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში შემობრუნებას გეგმავს. თქვენ რა გაიგეთ ამ ყველაფრიდან?***

– მე არა მგონია, რომ ის შემობრუნებას აპირებს. მას ძალიან აწყობს ის სტატუსი, რომელიც დღეს აქვს და არ უნდა ამ ოლიმპიდან ჩამოსვლა. მე ეს დავინახე. მას უნდა, რომ ჰქონდეს ყველაფრის უფლება, აკეთოს, რაც უნდა, აფასოს მძიმედ მიმდინარე პროცესი, მაგრამ პასუხისმგებლობა არ აიღოს არაფერზე. მან შექმნა ერთგვარი რელიგია, სადაც მას ღმერთის როლი აქვს. როდესაც საჭირო გახდება, ის თავის გზავნილს გააკეთებს და ამით შემოიფარგლება. ის არის ყველგან და ყველაფერში, მაგრამ მისი განკითხვა არ შეიძლება.

***– ანუ ბიძინა კვლავ კულისებში რჩება?***

– კი, ასეა. მას მოსწონს თავისი სტატუსი, საერთოდ, ოლიმპზე რომ ადიან ადამიანები, მერე იქიდან დაშვება ძალიან უჭირთ. რაც ყველაზე სამწუხაროა, ის ისევ საუბრობს პატრიოტიზმზე. მე ვფიქრობ, რომ რეალური პატრიოტიზმი მისი მხრიდან იქნებოდა სწორედ პროცესებში ჩართვა და მცდელობა იმისა, რომ აი ეს კრიზისი და პოლიტიკური ჩიხი გადალახული ყოფილიყო. მას აქვს ამის რესურსი. შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად ერთადერთი ადამიანია, ვისაც ამის რესურსი აქვს. თუმცა ამისთვის არა თუ არაფრის გაკეთება არ უნდა, არამედ კიდევ უფრო ცეცხლზე ნავთს ასხამს. ის მოგვევლინა მეხანძრედ, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ნავთით ჩააქროს ხანძარი.

***– დასავლეთთან ურთიერთობის მიმართულებით რა ხდება?***

– კარგი არაფერი. ფაქტობრივად მან დაადასტურა მთელი ის შეთქმულების თეორია, რასაც ავითარებდა მისი მრევლი, აწ უკვე ორად გაყოფილი. მან ეს ყველაფერი დაადასტურა, მოუწონა, რითაც ძალიან სერიოზული ზიანი მიაყენა, კიდევ ერთხელ სახელმწიფოს გრძელვადიან განვითარებას.

***– ზოგმა ასე გაიგო, რომ აშანტაჟებენ ამერიკის ელჩს?***

– გასაგებია, რომ ეს შანტაჟია. ამერიკის ელჩს კი არ აშანტაჟებენ, ამერიკას აშანტაჟებენ მთლიანად. ელჩი ხომ არ არის რაღაც ისეთი, განყენებული ფიგურა. ის წარმოადგენს შეერთებული შტატების ადმინისტრაციას და ეუბნებიან ან მიგვიღეთ ისეთი, როგორც ვართ, კი ვაღიარებთ, რომ ცუდი ბიჭები ვართ და თუ ასეთებს არ მიგვიღებთ, ჩვენ მზად ვართ, წავიდეთ რუსეთში. ფაქტობრივად ამას ამბობენ, იმიტომ, რომ დღევანდელი სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მესამე არჩევანი არ არის. როდესაც რკინის ფარდა ეშვება, ან ერთ მხარეს რჩები, ან მეორე მხარეს. შენ თუ არ მიდიხარ დასავლეთში, ესე იგი მიდიხარ რუსეთში. სტრატეგიულ პარტნიორებთან ასეთ ენაზე ლაპარაკი, ძალიან უღირსი საქციელია და მოლიპული გზაა. ენის მოჩლექით ელაპარაკებიან რუსეთს, აბა, ომი ხომ არ გვინდა? ამიტომ უნდა ვეფეროთ. ხოლო ამერიკელების გინება მოსულა, იმიტომ, რომ ჩვენი მეგობრები არიან და ვაგინოთ და ვლანძღოთ, რა გვენაღვლება. ეს არის აბსოლუტურად უღირსი, უპერსპექტივო და მხდალი პოლიტიკა.

***– ბატონო გია, ექსპერტთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ისე მომწიფდა სიტუაცია, ისეთი ვითარებაა, რომ შემოდგომით აუცილებლად ცვლილებები უნდა მივიღოთო. რა იგულისხმება ამ ცვლილებებში, რა სახის ცვლილებებს ელით?***

– მე ვიზიარებ აზრს, რომ შემოდგომაზე რაღაც ცვლილებები იქნება, მაგრამ ეს არანაირად არ არის განპირობებული შიდა პოლიტიკური პროცესით. ამას განაპირობებს ის გლობალური ცვლილებები და ტექტონიკური ძვრები, რაც ხდება. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ბედი ამ ვითარებაში, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება უკრაინის ომში. საერთოდ, დღეს უკრაინის ომს უკავშირდება მთელი სამყაროს ბედი. დღეს, ფაქტობრივად, იქ არის ეპიცენტრი დიდი ამოფრქვევის, რამაც საბოლოოდ უნდა შეცვალოს სამყარო. ახლა რა მიმართულებით შეცვლის, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში.

***– შესაძლოა შემოდგომით ამ ომშიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტა მოხდეს?***

– არ ვიცი, ძალიან ძნელი სათქმელია. ეს ომი სწრაფად არ დამთავრდება. თუმცა დომბასის საკითხი თუ იქნა მეტ-ნაკლებად გარკვეული, ეს უკვე რაღაც ბიძგს მისცემს გარკვეულ პროცესებს. ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინაში ომმა ყველაფერი შეცვალა და პროცესები დომინოს პრინციპით ვითარდება. უკრაინის ომმა მოგვცა დაძაბულობა სხვა მიმართულებითაც, ვხედავთ, რა ხდება სერბიასა და კოსოვოს შორის. ეს ყველაფერი არის გამოძახილი აი ამ დიდი დაძაბულობის. ანუ სამყარო იცვლება. საით წავა ეს ყველაფერი, იმაზეა დამოკიდებული, რომელ მხარეს გადაიხრება აი ამ ომის სასწორი.

***– ბატონო გია, როდესაც ცვლილებებზე საუბრობენ, ბევრმა ვადამდელი არჩევნებიც ივარაუდა, სხვაგვარად ეს 12-პუნქტიანი გეგმა არ შესრულდებაო. რამდენად ელოდებით ვადამდელ არჩევნებს?***

– კი, მე მესმის, ვადამდელ არჩევნებს არავინ არ გამორიცხავს ერთი მხრივ, მაგრამ მეორე მხრივ, ამის აზრს ველარ ვხედავ. ორი წელია დარჩენილი არჩევნებამდე, ორი წელი გავიდა უკვე აი ამ ტილაობაში და იწილობიწილოში. ახლა სანამ ამის ინიცირება მოხდება, კიდევ მინიმუმ ნახევარი წელი ხომ გავა? ამასობაში, ჩვენი კონსტიტუციით, რიგგარეშე არჩევნები რომ ჩატარდეს, 2024-ში ისევ ჩასატარებელი იქნება არჩევნები. ანუ რა გამოდის, ერთწლიანი პარლამენტი უნდა ავირჩიოთ? და ამ ყველაფრის აზრი რა არის? აზრი არ არის არანაირი. ამიტომ ამ ყველაფერს ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ. რიგგარეშე არჩევნებზე შარშან კიდევ აქტუალური იყო საუბარი და წელს ამის აზრი არ მესმის.

***– 12-პუნქტიან გეგმას რაც შეეხება, ვხედავთ, რომ ოპოზიციამ ცალკე პროცესი წამოიწყო. ბევრი ამბობს, რომ ოპოზიციის ეს ნაწილი სწორედ „ოცნების“ თამაშს თამაშობს.***

– ვინ ვის თამაშს თამაშობს, არ ვიცი. მე არ მიყვარს ასეთი საუბრები. ყველა თავის ჭიას ახარებს. სამწუხაროდ, ჩვენ ვართ პოლიტიკურ გარემოში, სადაც ძალიან ვიწრო ხედვა აქვს ნებისმიერ პარტიას. საერთოდ ჩვენი პოლიტიკური ელიტა არის უმწვავეს კრიზისში. აქედან გამომდინარე, ყველა თავის ადგილს ეძებს. ოპოზიციის ნაწილი, ვინც იმ მოლაპარაკებებზე ზის, ესენი არიან პარტიები, რომლებიც არც შესულან პარლამენტში. შემთხვევით მოხვედრილი პარტიები. იგივე „გირჩი“ რომ ავიღოთ, როგორ მოხვდა პარლამენტში? ზურა ჯაფარიძის მხრებზე ხო? ზურა ჯაფარიძე კი იქ აღარ არის. შესაბამისად, ლეგიტიმაცია ამ პარტიის აღარ არის. საუბარი, როგორც ოპოზიციურ პარტიაზე, ძალიან თითიდან გამოწოვილი თემაა.

***– ოპოზიციაზე ვსაუბრობთ და რა სიტუაციაში აღმოჩნდება ნაციონალური მოძრაობა მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი პარტიას ემიჯნება?***

– არ ვიცი, ნაციონალურ მოძრაობაზე ველარ ვიდარდებ. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი პოლიტიკურ პროცესს მთლიანობაში წაადგება. სააკაშვილის გამიჯვნას ვგულისხმობ. ორპოლუსიანობა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ამ ქვეყანაში იყო. მიხეილ სააკაშვილი იყო ამ ორპოლუსიანობის უზრუნველყოფის უნივერსალური მექანიზმი. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ პოზიტიური მოვლენა იქნება. ცოტა ხანი წავიდეს, დაისვენოს, ჩვენც დაგვასვენოს და ამით პოლიტიკური სივრცეც გაიხსნება.

***– ამით ნაცმოძრაობის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ დადგება?***

– ესეც ძალიან კარგი იქნება თუ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება. სააკაშვილიც დაისვენებს და ჩვენც. სივრცეც გაიხსნება. ხელისუფლება სისხლიან 9 წელზე ველარ ილაპარაკებს. უფრო კონკურენტული გარემო გაჩნდება.

## ქობულეთისა და გონიოს სასტუმროებიდან უკრაინიდან დევნილი მოქალაქეები გამოასახლეს?!

ქობულეთის და გონიოს სასტუმროებიდან უკრაინიდან დევნილი მოქალაქეები გამოასახლეს – ყველა ლოკაციაზე სულ, 80 ოჯახი იყო ჩასახლებული, – ამის შესახებ „ლელოს“ ბათუმის ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერმა, გენო თებიძემ განაცხადა.

თებიძის თქმით, მათი დიდი ნაწილი მდგომარეობის გამოსწორებას საკუთარი სახსრებით შეეცადა და საცხოვრისი თავად იპოვეს, ნაწილს კი დაბინავებაში პარტია „ლელო“ და „დროა“ დაეხმარნენ.

– 21 ოჯახი ჩვენი ჩარევითაა დაბინავებული, ქუჩაში არავინ დავტოვეთ. ჩვენთან ერთად „დროა“ იმყოფებოდა და მინდა გითხრათ, საერთო ძალისხმევით ამ სირცხვილის თავიდან არიდება მოხდა, – განაცხადა მან.

## „სახელმწიფო მაქსიმალურად დაუდგება გვერდში გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებს“

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა დაღუპულების ოჯახის წევრებს, კოლეგებს და საზოგადოებას.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობდა დაღუპულ მფრინავებს.

– პირველ რიგში, მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩვენი ღრმა მწუხარება გუდაურში მომხდარი ტრაგედიის გამო. ჩვენ დავკარგეთ ამ ქვეყნის ღირსეული შვილები, ამ ქვეყნის მოქალაქეები, ეკიპაჟის წევრები და მაშველები, ასევე, გამოჩენილი მფრინავები, ღირსეული ადამიანები. მე ძალიან კარგად ვიცნობდი ამ ადამიანებს, წლებია უკვე, ჩვენ ერთად ვმგზავრობდით და მინდა კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო მათ ოჯახებს, მთელ ჩვენს საზოგადოებას, სამინისტროს ხელმძღვანელობას, მთელ შემადგენლობას და თითოეულ თანამშრომელს. ასევე, დაღუპულ ექიმებს.

ეს დიდი ტრაგედიაა, ჩვენ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული ამ ტრაგედიამ და მინდა კიდევ ერთხელ, ჩვენი მწუხარება გამოვხატო ამ ოჯახების მიმართ. სახელმწიფო მაქსიმალურად დაუდგება გვერდში გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებს. სამინისტრო თითოეულ ოჯახს გამოუყოფს 100 000 ლარს, გამონაკლისის სახით ჯანდაცვის სამინისტრო ასევე ექიმებისთვის გამოყოფს 100 000 ლარს, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## კახა კალაძე: „საქართველოს ხელისუფლება გამოვდივართ ქვეყნის ინტერესებიდან, შესაბამისად, საქართველო ომში არ ჩაერთვება“

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, ხელისუფლება ქვეყნის, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებით მოქმედებს და რუსეთ-უკრაინის ომში არ ჩაერთვება.

მან დედაქალაქში გავრცელებული ბანერებთან დაკავშირებით, რომელზეც აღნიშნულია, რომ „ომი უნდა რუსეთს და არა დასავლეთს“ კითხვას უპასუხა.

კალაძის თქმით, მისთვის უცნობია, რას ემსახურება ეს კამპანია.

– არ ვიცი, რა კამპანიაა და რას ემსახურება. გამიჭირდება ამაზე რაიმე კონკრეტიკა. ალბათ, ეს შეკითხვა იმ ადამიანებს უნდა დაუსვათ, რომელიც დგას ამ კამპანიის უკან და ისინი უფრო ვრცლად გეტყვიან.



რაც შეეხება ომის დაწყებას და საქართველოს ჩართვას, ძალიან ბევრჯერ გვისაუბრია ამის შესახებ. უამრავი კონკრეტული მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ, პოლიტიკური, პარტიების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ჩვენი მეგობარი ქვეყნის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის გაკეთებული განცხადება და ა.შ. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება გამოვდივართ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან და ვმოქმედებთ ისე, როგორც ჩვენს ხალხს და პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანას სჭირდება. შესაბამისად, საქართველო ომში არ ჩაერთვება, – განაცხადა კალაძემ.

ცნობისთვის, თბილისში ბანერები გამოჩნდა, წარწერით „რუსეთს უნდა ომი და არა დასავლეთს“. ბანერების ავტორია „კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“.

## ირაკლი კობახიძე: „ნიკანორ მელიამ გათქვა ტაქტიკა, რომელიც რეალურად აქვთ სააკაშვილის ადვოკატებს“

მარტივი ტაქტიკური მანევრი, – ასე შეაფასა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ქართული პოლიტიკიდან შესაძლო წასვლასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია.



როგორც კობახიძე განმარტავს, აღნიშნული საიდუმლო ნიკა მელიამ გასცა.

– ნაცმოძრაობის ფორმალურმა თავმჯდომარემ, ნიკანორ მელიამ გათქვა რეალურად ტაქტიკა, რომელიც რეალურად აქვთ სააკაშვილის ადვოკატებს, ისინი საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილს აღარ სურს ქართული პოლიტიკა, აღარც საუბრობს ამაზე – არის მარტივი ტაქტიკური მანევრი, რაც გასაგებია ადვოკატების მხრიდან. საინტერესო ის არის, რატომ გათქვა ეს საიდუმლოება ფორმალურმა თავმჯდომარემ ნიკანორ მელიამ, ეს მეტყველებს იმაზე, რომ პარტიის შიგნით არის ძალიან სერიოზული განხეთქილება და რეალურად პოლარიზაცია არის ნაცმოძრაობის შიგნით, – განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება კითხვას, სააკაშვილის სხვა ქვეყანაში სამკურნალოდ გადაყვანასთან დაკავშირებით, კობახიძე პასუხობს, რომ „საზოგადოება ამ თემებმა დაღალა“.

– საზოგადოება დაიღალა ამ ყველაფერზე საუბრით, საქართველოში არის 9.500 პატიმარი, 9.500 პატიმარი იხდის სასჯელს და ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს ნებისმიერი პატიმრის მიმართ. საზოგადოება დაღალეს უკვე ამ უაზრო საუბრით, – განაცხადა კობახიძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მიხეილ სააკაშვილი უცხოელი პოლიტიკოსია და ქართულ პოლიტიკაში ვერ იქნება“

ნათია ხურცილავა

## ლევან ალაფიშვილი: „არ არის გამორიცხული, რომ „ქართულ ოცნებასა“ და სააკაშვილს შორის კულისებს მიღმა ვაჭრობა მიდიოდეს“

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების ვალერი გელბახიანისა და შალვა ხაჭაპურიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ბოლო დღეებია, რაც მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე საუბრობენ, რასაც ირაკლი კობახიძე ადვოკატებთან შეთანხმებულ მანევრს უწოდებს. რას იტყვით თქვენ?***

– ერთია, რას აცხადებენ ადვოკატები, სხვა დაინტერესებული პირები და მეორეა, რა წერია კანონში და რას გვეუბნება ყველაზე დიდი კანონი – ქვეყნის კონსტიტუცია. არ ვსაუბრობ პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც ძალიან დაბალია, ვსაუბრობ კანონზე, რომელიც ვიღაცამ მაინც უნდა გაითვალისწინოს.

მიხეილ სააკაშვილი, რაც უკრაინის მოქალაქე გახდა, მას შემდეგ მან ავტომატურად დაკარგა ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობა. 2013 წელს ის გახდა უკრაინის მოქალაქე. ამას მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ძალიან გულდაწყვეტით ვამბობ, რადგან ის იყო საქართველოს პრეზიდენტი, ამ ქვეყნის მთავარსარდალი და მან საკუთარი ნებით დატოვა საქართველოს მოქალაქეობა. ამდენად, 2013 წლიდან მიხეილ სააკაშვილს კონსტიტუციით აქვს აკრძალული პოლიტიკური მოღვაწეობა, საქმიანობა საქართველოში. ამიტომ სრულიად გაუგებარია, რა უნდა დატოვოს სააკაშვილმა?! ათი წელია ამ ცრუ ინფორმაციას აწვდიან მოქალაქეებს და ამ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებენ ხალხს. სააკაშვილი ვერ იქნება წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკაში, რადგან არის სხვა ქვეყნის მოქალაქე. აქ უნდა დავსვათ წერტილი. ასეთია კონსტიტუციური კანონის განმარტება.

***– თუმცა, მიხეილ სააკაშვილი არის ფაქტორი მისი ამომრჩევლისთვის, ბოლოს და ბოლოს, ნაციონალურ მოძრაობაზე მაინც ახდენს გავლენას.***

– აბსოლუტურად მესმის, რაზე საუბრობთ, მაგრამ უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისაც ჰყავს საქართველოში არათუ მომხრეები, მიმდევრებიც კი, მაგრამ ეს ცვლის რაიმეს?! პუტინსაც კი შეიძლება ჰყავდეს მომხრეები საქართველოში და მერე რა?! ამით ხომ არ იცვლება რაიმე ქართულ პოლიტიკაში?!

ეს არის პოლიტიკური თამაში, რომელიც აწყობდა ნაციონალურ მოძრაობასაც და აწყობდა მმართველ პარტიასაც. აქამდე ამ პოლიტიკური სცენარით მანევრირებდა „ქართული ოცნება“. ეს პოლიტიკა ძალიან აწყობდა, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვუთხრათ ხალხს სიმართლე, რომელსაც ან ერთი პოზიცია აქვს, ან მეორე. ამ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მიხეილ სააკაშვილი პარტიულ პოლიტიკაში ვერ იქნება წარმოდგენილი, ვერც კენჭს იყრის და ვერც სხვა რაიმე თანამდებობის პირი ვერ გახდება. მთელ ამ ამბავში სიმართლე ერთია, რომ მიხეილ სააკაშვილი დღევანდელი მოცემულობით უცხოელი პოლიტიკოსია და ქართულ პოლიტიკაში ვერ იქნება.

***– შეიძლება ეს არის ადვოკატების მიერ შერჩეული ერთგვარი ტაქტიკა?***

– ვერ გეტყვით. შეიძლება ასეც იყოს და ისინი ამ ტაქტიკის ფარგლებში მოქმედებენ. არც ის არის გამორიცხული, შეძლების დონეზე



ისიც დავუშვათ, რომ კულისებს მიღმა ვაჭრობა მიდიოდეს „ქართულ ოცნებასა“ და სააკაშვილს შორის მისი ადვოკატების მეშვეობით. თუ ეს ასეა, მაშინ ეს მეორე უბედურებაა, რადგან ისევ ამ ქვეყნის მოქალაქეების, ხალხს ზურგს უკან შეიძლება ხდებოდეს ერთგვარი გარიგება. გამოდის, რეალურად ხალხს ატყუებენ, ადვოკატებს შეიძლება აქვთ დავალებული, რომ ეს ყველაფერი საჯაროდ თქვან. თუ ეს ასეა, მე გეტყვით, რომ ეს არ არის სწორი პოზიცია.

***– მიხეილ სააკაშვილი მსჯავრდებულია, შესაბამისად, რაზე შეიძლება იყოს საუბარი, მსჯავრის გადავადებაზე?***

– დიახ. სხვა არაფერზე, რადგან სააკაშვილი მსჯავრდებულია, მაგრამ მას აქვს ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა. შესაბამისად, ნებისმიერ სახელმწიფოს და, რასაკვირველია, მათ შორის საქართველოს აქვს ვალდებულება, ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობა უზრუნველყოს – არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი მსჯავრდებულია, ბრალდებულია თუ თავისუფლებაზე იმყოფება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა, მის ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნოს უკრაინამ. უკრაინას და საქართველოს ერთდროულად აქვთ ეს ვალდებულება. ასევე არის ვალდებულება, რომ ერთობლივად მოიფიქრონ გამოსავალი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის თუ განკურნებისთვის. ეს ვალდებულებაც კონსტიტუციით, მათ შორის, უკრაინის კონსტიტუციით აქვს ნებისმიერ ადამიანს გარანტირებული.

რა შეიძლება იყოს ამ ვალდებულების შესასრულებლად მოფიქრებული? ბევრი რამ. მათ შორის მესამე ქვეყნისთვის გადაცემა. მსჯავრდებულის თუ ბრალდებულის უკრაინისთვის გადაცემა. სასჯელის გადავადება გამოჯანმრთელებამდე. ბევრი რამ შეიძლება იყოს მოფიქრებული. ვნახოთ.

***– რა გადაწყვეტილებას ელოდებით? ფიქრობთ, უკრაინის ხელისუფლება მოლაპარაკებას ახდენს ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან?***

– რთული სათქმელია. თუმცა, ფაქტი ერთია, ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება უნდა შედგეს, რადგან ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც აქვს ვალდებულება, ადამიანის პოზიტიური ჯანმრთელობიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება. თუ სურვილი იქნება, მაშინ კონკრეტული მექანიზმის მოფიქრება შეიძლება.

# კახა ქემოკლიძე: „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილი აუცილებლად ისევ დასჭირდება, როგორც მტერი“

„ქართული ოცნება“ 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას ეწინააღმდეგება – ყოველდღიურად საინფორმაციო ოპერაციებს უტარებენ რუსეთს კი არა, რომ შენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი დაიცვა, არამედ დასავლეთს, რომელიც შენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვაში გეხმარება, – ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა, კახა ქემოკლიძემ განაცხადა.



მისივე თქმით, მმართველ გუნდს რომ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით შეთანხმება უნდოდეს, ამას „ერთ დაწკაპუნებაში გააკეთებდნენ“.

– ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ „ქართული ოცნება“ 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებისთვის მოწადინებულია. ისინი სიღრმისეულ დონეზე ამას ეწინააღმდეგებიან კიდეც. მათი მხრიდან გადადგმული ნაბიჯების საფუძველზე ეს იკვეთება. ანტიდასავლური რიტორიკა, ელჩების რეპუტაციების ძირის გამოთხრა, ქართული საზოგადოების და განსაკუთრებით, მმართველი პარტიის მხარდაჭერილი ელექტორალური ბაზის დასავლეთის მიმართულებით ნეგატიურად განწყობა – ეს ყველაფერი კონკრეტულ მიზანს და ამოცანას ემსახურება. ამას უსაფრთხოების სფეროში საინფორმაციო ოპერაციებს ეძახიან. ყოველდღიურად საინფორმაციო ოპერაციებს უტარებენ რუსეთს კი არა, რომ შენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი დაიცვა, არამედ დასავლეთს, რომელიც შენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვაში გეხმარება. ამ აბსურდში, როდესაც ქმედების დონეზე „ქართული ოცნება“ გაიშიფრა, მათ შორის, იმ „4 ამიგოს“ ოპერაციის და სქემის გათამაშების საფუძველზე, რისი იმედი უნდა გვქონდეს? ამათ პოლიტიკურ ნების დონეზე 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შეთანხმება რომ უნდოდეთ, ამას ერთ დაწკაპუნებაში გააკეთებდნენ. როდესაც არსებობს პოლიტიკური ნება, იქ ყოველთვის არსებობს გამოსავალი. დღეის მოცემულობით, მაგიდაზე პოლიტიკური ნება არ დევს, – განაცხადა კახა ქემოკლიძემ.

მისივე თქმით, მმართველ გუნდს რეკომენდაციების შესრულება იმიტომ არ უნდა, რომ ეს სახელმწიფოს სისტემურ რეფორმირებას გამოიწვევს, რაც ავტომატურად „ქართული ოცნების“ ერთ პარტიულ მმართველობას გამორიცხავს.

– ისინი ამას ათვითცნობიერებენ და ჩვენი აზრით, გარკვეულწილად პროცესის გაწელვაზე მუშაობენ. ორი სტრატეგიული მიზანი გააჩნიათ: ერთი მხრივ, რომ გარკვეულწილად ეს რეფორმები არ განხორციელდეს და მეორე მხრივ, ეს ყველაფერი ოპოზიციას და თავად დასავლეთს დაბრალდეს, – აღნიშნა მან.

კითხვაზე, თუ რატომ რჩება პარტია „საქართველოსთვის“ პროცესში, თუ უკვე ფიქრობენ, რომ მმართველი გუნდი რეფორმების განხორციელებას არ აპირებს, ქემოკლიძე პასუხობს, რომ ამის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ პროცესების დაზიანება მის პარტიას და ოპოზიციას არ დაბრალდეს.

– ჩვენ ორი სტრატეგიული ამოცანა გვაქვს. პირველი მიზანი არის, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მიეცეს იმის საშუალება, რომ ეს ყველაფერი ჩვენს პარტიას და იდეალურ შემთხვევაში ოპოზიციას დაბრალდეს. მეორე მიზანი: თუკი 1% შანსი არსებობს, რომ ჩვენ კანდიდატის სტატუსის მიღებაში გარკვეულწილად ჩვენი წვლილი შევიტანოთ, ეს 1%-იანი შანსიც ნებისმიერ ფასად უნდა გამოვიყენოთ, – განაცხადა ქემოკლიძემ.

მისივე თქმით, ჩავარდნილ პროცესზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, თუმცა ოპოზიცია მმართველ გუნდს იმის საშუალებას აძლევს, რომ პასუხისმგებლობის ისარი ოპოზიციისკენ გადაიტანოს.

ქემოკლიძემ ასევე, ხელისუფლების მხრიდან აშშ-ის ელჩ კელი დეგნანზე გაკეთებულ განცხადებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს დასავლური მხარდამჭერის შემცირებას ემსახურება. ამ სტრატეგიის მიზანი კი ძალაუფლების შენარჩუნებაა.

ამასთან, მან ისაუბრა ბიჭვინთის ე.წ. სახელმწიფო აგარაკების რუსეთისთვის გადაცემის თაობაზეც და აღნიშნა, სერიოზული პრობლემაა, რომ ხელისუფლება თავისი დუმილით მხოლოდ რუსეთს კი არ უფრთხილდება, არამედ ამავდროულად, ზუსტად იგივე პერიოდში, მიზანმიმართულად დასავლეთს უტევს.

კითხვაზე, თუ რატომ არ გააკეთა ხელისუფლებამ ბიჭვინთაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განცხადება, ქემოკლიძე პასუხობს, რომ „ქართული ოცნების“ წევრები სრულად ქვეყნის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნებისკენ არიან ფოკუსირებულები.

– ჩვენ შეგვეძლო ერთი გასროლით ორი კურდღელი მოგვეკლა. ერთი მხრივ, რომ სოხუმისთვის გვეჩვენებინა, რომ იცით რა, 90-იანებში ომის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ისევ ქართველები ზრუნავენ თქვენს ეროვნულობაზე, თვითმყოფადობაზე, ეთნოსზე, ენასა და ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც, რუსეთი პირდაპირი მნიშვნელობით აგრესიულად ამ ტერიტორიას ართმევს და მეორე მხრივ, დასავლეთისთვის გვეჩვენებინა, რომ უკრაინაში მიმდინარე სიგიჟის ფონზე, რუსეთი და კრემლი საბოლოო ჯამში, ისევ საქართველოს ანექსიით არის დაკავებული, – აღნიშნა ქემოკლიძემ.

პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა ასევე, ქვეყნის მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ქართული პოლიტიკიდან შესაძლო წასვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ცნობებზე ისაუბრა.

მისი შეფასებით, შესაძლოა ამ პროცესებში „ქართულ ოცნებასა“ და მიხეილ სააკაშვილს შორის „გარიგების კონტურები იკვეთებოდეს“.

ქემოკლიძის თქმით, მას არ სჯერა, რომ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკას დატოვებს.

– მე მეჩვენება, რომ გარკვეულწილად შესაძლოა, გარიგების რაღაც კონტურები იკვეთებოდეს. რა დონეზე შედგება, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ, ჩემი აზრით, „ქართულ ოცნებას“ 2024 წლისთვის სააკაშვილი აუცილებლად ისევ დასჭირდება, როგორც მტერი №1.

2021 წლის არჩევნები კლასიკური მაგალითი იყო, როგორ გამოიყენეს სააკაშვილის ჩამოსვლა შუაში მყოფი ამომრჩევლის მობილიზებისთვის, რომელსაც ნამდვილად შეეშინდა, რომ ვაი, რადგან სააკაშვილი ქვეყნის შიგნით არის, მაშინ მართლა რეალური რისკია, რომ ხელისუფლება რევოლუციის გზით ჩაიგდოს ხელში და შემდეგ უკვე ყველას ჯიბეში ჩაგვიძვრეს. ეს რისკები კვლავაც არსებობს, – განაცხადა ქემოკლიძემ.

# ზურაბ აზარაშვილი: „სპეკულაციები, თითქოს, ლტოლვილებს ქუჩაში ვტოვებთ, ნამდვილად არასწორია“

ჩვენი დევნილების სააგენტოს თანამშრომლები, 3 კვირის განმავლობაში, იმ 40 სასტუმროში დადიოდნენ, სადაც უკრაინიდან ლტოლვილი პირები ცხოვრობდნენ. მათ ანგარიშები გაუხსნეს და ყველა ამ ადამიანს შესაბამისი დახმარება უკვე ჩარიცხული აქვს. ის რაღაც სპეკულაციები, თითქოს, ქუჩაში ვტოვებთ ლტოლვილებს, ნამდვილად არასწორია, – ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა და აღნიშნა, რომ უკრაინელი ლტოლვილების დიდმა ნაწილმა სასტუმროები უკვე დატოვა.

მისივე თქმით, უკრაინელი ლტოლვილებისთვის სამინისტროს მხრიდან ბინების შეთავაზება სხვადასხვა რეგიონში ხდება.

ზურაბ აზარაშვილმა უკრაინელი ლტოლვილებისთვის შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროექტზეც ისაუბრა.

– მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროების და მათი მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო თითოეულ უკრაინელ ოჯახს 300 ლარით ეხმარება, ასევე თითოეულ – ადამიანს, ვისაც ამის საჭიროება აქვს – 45 ლარით.

მინდა, მოკლე განმარტება გავაკეთო, საიდან მივედით ამ თანხებამდე. მოგეხსენებათ, უკრაინელი ლტოლვილები სხვადასხვა ქვეყნებში იმყოფებიან. ჩვენ ყველა ამ ქვეყნის პრაქტიკა და მაგალითები ვნახეთ, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას გავეცანით და შევეცადეთ, მაქსიმუმი გაგვეკეთებინა.

ასევე მნიშვნელოვანია, როცა ქვეყანაში 300.000-მდე დევნილი თანამემამულე გვყავს და შევეცადეთ მათი დახმარების პაკეტთან ახლოს ყოფილიყო. შესაბამისად, ჩვენ ავიღეთ ის მაქსიმუმი, რასაც ჩვენი თანამემამულეებისთვის ვაკეთებთ. აქედან გამომდინარე, ყველა ის სპეკულაცია და ამ საკითხის პოლიტიკურ თემებში გადაყვანა, ვფიქრობ, მიზანშეუწონელია. მოვუწოდებ იმ პოლიტიკოსებს, ვისაც, თითქოს, ამ პრობლემის მიმართ ჩვენზე მეტად შესტკივა გული, თავი დაანებონ პროვოკაციებს, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.


**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „სააკაშვილი ნაცმოძრაობას აღარ სჭირდება“

## პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი ერთადერთი იყო მათ შორის, ვისაც მართლა ჰქონდა ხმების აღების უნარი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.



***– ბატონო პეტრე, ადვოკატი ვალერი გელბახიანი აცხადებს, რომ სააკაშვილი მიდის არა მარტო ნაცმოძრაობიდან, არამედ ქართული პოლიტიკიდანაც, რასაც ნაცმოძრაობის წარმომადგენლები არ ადასტურებენ. შეიძლება ეს გადაწყვეტილება რეალური იყოს თუ ეს მიშას ტაქტიკაა პატიმრობიდან გასათავისუფლებლად? თუ ასეა, რა პროცესი შეიძლება განვითარდეს ნაცმოძრაობაში?***

– გელბახიანმა ისიც თქვა, რომ სააკაშვილი თავის თავს უკრაინის პოლიტიკაში ხედავს. უკრაინელი პოლიტოლოგები წერენ, რომ აღვირახსნილი კორუფციის გამო, ახლა უკრაინაში კოლოსალური ფული კეთდება. ამიტომ არ არის გასაკვირი, სააკაშვილს ისევ უკრაინაში დაბრუნება უნდოდეს. სააკაშვილის კორუფციულ საქმიანობაზე მისი უკრაინაში ყოფნისას ბევრი ითქვა და დაიწერა.

***– რა პროცესები შეიძლება განვითარდეს ნაცმოძრაობაში ან რა შეიძლება გამოიწვიოს სააკაშვილის ნაცმოძრაობიდან და ქართული პოლიტიკიდან წასვლამ?***

– სააკაშვილს თავის თანამზრახველებთან ურთიერთობა დიდი ხანია დაეძაბა. სააკაშვილი ნაცმოძრაობაში არასოდეს უყვარდათ. არასოდეს პატივს არ სცემდნენ. ბევრს სძულდა კიდეც. ბევრი ზურგს უკან ამბობდა, ეს გიჟია და რა ვქნათო, მაგრამ ყველას ესმოდა, რომ სააკაშვილი ერთადერთი იყო მათ შორის, ვისაც მართლა ჰქონდა ხმების აღების უნარი ქართველ ხალხში დაწყებული 94-95%-დან... 2020 წელს სააკაშვილმა პირველ ნომრად კიკაბიძე ჩაწერა და მაინც 36 ხმა აიღო, დანარჩენმა ოპოზიციამ ერთად აღებულმა კი – 22.

***– მომავალი არჩევნები რომ წარმოვიდგინოთ, ამდენ ხმას ველარ აიღებს?***

– ამას ღრმა კვლევა სჭირდება. ორი წლის შემდეგ რა მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ბევრი ნიშანია იმისა, არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს, სააკაშვილი იმდენ ხმას ველარ აიღებს, რაც 2020 წელს. ნაცმოძრაობაში ბევრს სძულდა სააკაშვილი, მაგრამ კეთილდღეობის გამო, გამოსავალს ისევ სააკაშვილში ხედავდნენ – მაღალი თანამდებობები, მაღალი შემოსავლები, უძრავ-მოძრავი ქონება. ბევრი მათგანი ხომ მილიონერი გახდა. მთელი ის ცნობადი სახეები, ვინც არიან ნაცმოძრაობაში, მილიონერები არიან. მათი ქონება რომ შეაფასო, მილიონებია დოლარებში.

***– ამ დროს ბიძინა ივანიშვილის ფულებს ითვლიან.***

– რა თქმა უნდა. მე ყოველთვის ხაზს ამას ვუსვამ. ადამიანები, რომლებმაც ქართველი ხალხის გაძარცვით მილიონები იშოვეს, ადამიანები, რომელთა გამო ამდენი ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმაა, ცინიკურად, უტიფრად (რაც მათი მართვის სტილია) აბრალებენ ივანიშვილს, რომ ის ოლიგარქია. ეს დაახლოებით ისეა, ყაჩაღები, მძარცველები სხვას უწოდებენ ყაჩაღებს.

მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, საქართველოს ციხეში მისი ნაცი თანამზრახველები სააკაშვილს ყოველდღე რომ სტუმრობდნენ (4 ადამიანი რიგრიგობით სტუმრობდა, საკანში მარტო რომ იყოს, გააფრენს და თავს მოგვჭრისო), მიხეილ სააკაშვილი უყვიროდა, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, მუშტებს უბრახუნებდა და ისეთ დავალებებს აძლევდა, გარეთ გამოდიოდნენ და ამბობდნენ, გიჟი ხომ იყო, ახლა სულ გაგიჟდა, გააფრინაო, დედის გინების გარეშე არ ახსენებდნენ, მაგას კიდევ პრეზიდენტი ჰგონია თავიო.

***– ნაცმოძრაობაში სააკაშვილმა წონა დაკარგა?***

– გრიგოლ ვაშაძე რომ წავიდა თავმჯდომარეობიდან და პარტიიდან, სააკაშვილს ვარშალომიძე უნდოდა, მაგრამ პარტიამ ჯიბრზე მელია აირჩია. ეს ყველაფერზე მეტყველებს.

***– მელიას, როგორც პარტიის ლიდერის, განცხადებებს როგორ აფასებთ?***

– მელიას განცხადება სკეპტიკური იყო.

***– მელიას თითქოს ხელს უშლიან, თითქოს ახალი კადრების ნაცმოძრაობაში შეშვებას ეწინააღმდეგებიან.***

– ხომ გახსოვთ, სამადაშვილი რომ ლაპარაკობს ტელეფონით და სულ რუსულ სამასოიან სიტყვას ხმარობს და იმაზე ლაპარაკობს, რამდენი კარგი ადამიანის მიყვანა შეიძლება – უცხოეთში ნასწავლი ახალგაზრდების, მაგრამ მიშას პარტიაში ისევ ძველი, არავის რომ არ უნდა, ისეთ ხალხი მიჰყავს.

მოკლედ, სააკაშვილი ნაცმოძრაობას აღარ სჭირდება. უფრო ადრე პატივს არ სცემდნენ, სძულდათ, ზურგს უკან გიჟსაც ეძახდნენ, მაგრამ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის სჭირდებოდათ. ახლა ესეც აღარ არის. სასამართლოში თავისი ქცევით მთელ მსოფლიოში გამარგინალდა, მაგრამ აბა ციხიდან გამოვიდეს, თავისი ძალა ისევ შეიძინოს – ფული, ტელევიზია, მაინც მის ხელშია და უკრაინაშიც, სადაც არის გია ლორთქიფანიძე, ადეიშვილი და სხვები – შეიძლება ისევ შეცვალოს მისი გადაწყვეტილება.

# „ოპოზიციამ თავის ოლიგარქიულ პარტიებს მიხედოს“

## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილის ოპონენტი ვარ, მაგრამ ვაცხადებ, არავის აქვს უფლება, მას პოლიტიკაში ყოფნა აუკრძალოს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში შექმნილ ზოგიერთ პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.

***– ბევრი კომენტატორი ვარაუდობს, რომ პოლიტიკური პარტია, რომელსაც დიდი ალბათობით შექმნიან პარლამენტის უმრავლესობიდან და საკრებულოების უმრავლესობიდან გამოსული დეპუტატები, ანტიდასავლური ხმების მოზიდვაზე იმუშავებს. თქვენ რას იტყვით?***

– თქვენ მიერ ნახსენებმა დეპუტატებმა დააანონსეს საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ის გადაკეთდეს პოლიტიკურ ორგანიზაციად. მათ თქვეს, რომ უმრავლესობას გაემიჯნენ სიმართლის სათქმელად. მათგან რაიმე განსაკუთრებული და საიდუმლო ინფორმაცია არ მომისმენია. ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ვითარებას ისედაც აანალიზებდნენ. მათ შორის, თქვენს მონა-მორჩილსაც გამოუთქვამს ანალიზი. ყველა უფლებამოსილია, გამოეყოს პარტიას.

***– ანტიდასავლურ ხმებს მოიზიდავენ?***

– სუბარისა და სხვების გაერთიანებას არ ვუწოდებდი ანტიდასავლურს. საქართველოში ანტიდასავლური განწყობა კი არ გაძლიერებულა, საზოგადოების ნაწილი უიმედობამ მოიცვა. ხალხი ძალიან განაწყენდა ევროკავშირისა და ნატოს ბიუროკრატიით. ბევრი ადამიანისგან მომისმენია ეს ჩივილი.

***– მიგაჩნიათ, რომ საქართველო აქამდე კანდიდატი მაინც უნდა გამხდარიყო?***

– წევრიც უნდა გავმხდარიყავით. კანდიდატებად ევროკავშირში მიიღეს დსთ-ს წევრი მოლდოვა და ომში ჩართული უკრაინა. ორივე სახელმწიფოში მაღალია კორუფციის დონე. ჩემი დაკვირვებით, დაგვისახეს და მოგვთხოვეს სამი ამოცანა დსთ-ს წევრობა, ომში მონაწილეობა და მასშტაბური კორუფცია.

***– მივუთითოთ, რომ ამას ირონიით ამბობთ, თორემ მკითხველი დაიბნევა...***

– მწარე ირონიით ვამბობ. დსთ-შიც იყო საქართველო, მერე – გამოვიდა. ომში და საომარ მდგომარეობაში 90-იანი წლების შემდეგ ვიმყოფებით, ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული გვაქვს. ევროკავშირი კატეგორიულ უარს არ გვეუბნება, მოკრძალებულად გვაძლევს დავალებებს. ბარემ ადგნენ და გვითხრან, რომ არ გვიღებენ. ტყუილი იმედი მაინც არ გვექნება. საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა ხომ გვითხრა პირდაპირ, გეოგრაფიულადაც სხვაგან ხართო! ჯობია, გაირკვეს ყველაფერი და მაშინ ჩვენ იმავე ევროპულ სახელმწიფოებთან ცალ-ცალკე გავაფორმებთ ხელშეკრულებებს, ყველა სახელმწიფოს ცალ-ცალკე დავუახლოვდებით. საქართველო სახელმწიფოა და ის უნდა მოქმედებდეს საკუთარი ინტერესის შესაბამისად.

***– აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებზე გაუთავებელი თავდასხმები, ანტიდასავლური რიტორიკა რამდენად შედის საქართველოს ინტერესში?***

– არ შედის. ეს დიპლომატიურ ჩარჩოებში არ ჯდება. თუ რაიმე გაურკვევლობაა, ჯობია, დიპლომატიურად მოგვარდეს. რამდენიმე ამერიკელი კონგრესმენი ლაპარაკობდა იმაზე, რომ საქართველოს უნდა დაეხმარონ რუსეთის წინააღმდეგ ომში.

***– ოფიციალურ ვაშინგტონს ეს არ გამოუცხადებია. „სიმართლის ბურჯი“ დეპუტატებიც კი უკვე აღიარებენ, რომ ამერიკელების მხრიდან არ ყოფილა მოწოდებები ომში ჩართვაზე. მათი თქმით, იყო მოთხოვნები, რომლებსაც შეეძლოთ საომარი მოქმედებების გამოწვევა.***

– იმ კონგრესმენებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჟირინოვსკი, მაგალითად, კრემლის პოზიციებს ახმოვანებდა. საქართველო უნდა ხელმძღვანელობდეს საკუთარი ინტერესებით. ბუნებრივია, მას უნდა ჰყავდეს მოკავშირეები. მოკავშირეობა მონობას არ ნიშნავს. ჩვენთან ზოგი რუსეთის მონაა და ზოგი – ევროკავშირის. რამდენიმე წლის წინ თქვენს გაზეთთანაც მითქვამს, რომ აშშ და რუსეთი ერთმანეთს შეეჯახებიან სხვა ქვეყნების (სატელიტი ქვეყნების) ტერიტორიაზე. აკი, ახდა კიდეც.



***– უკრაინაში?***

– რასაკვირველია. ჩემს წიგნში ვწერ საქართველოს ავღანიზაციის რისკზეც.

***– იმედია, ეს ხიფათი არ მოგველის.***

– იმედი ვიქონიოთ. რუსეთს რომ აქ კიდევ ერთი ომი დაეწყო, სხვა მეზობლებიც აიშლებოდნენ და მოხდებოდა საქართველოს დაშლა. საქართველოში ბევრ პოლიტიკოსს, რომელიც წინა პლანზეა გამოყვანილი, არც რისკები ესმის და არც სახელმწიფოებრივი საკითხები. თავისი პირადი ამბიციებისა და პარტიული გეგმების გარდა, არაფერი აღელვებთ. ავიღოთ „სტრატეგია ალმაშენებელი“. მისი ლიდერები ძალიან ცუდად არიან ატეხილები და სახელმწიფოს ვნებენ. მაგ პარტიას „სტრატეგია ალმაშენებელი“ კი არა, „ტრაგედია დაღმაშენებელი“ უნდა ერქვას, იმდენად დესტრუქციულად იქცევა. განსაკუთრებით, ბოლო დროს, როცა პარლამენტში თანამშრომლობაზე უარს აცხადებს.

***– სააკაშვილის სურვილმა, წავიდეს საქართველოს პოლიტიკიდან, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დიდი ხნის წინ იყო ინფორმაცია იმაზე, რომ ვაშინგტონს არ სურს სააკაშვილის აქტიურობა ქართულ პოლიტიკაში.***

– სააკაშვილის ოპონენტი ვარ, მაგრამ ვაცხადებ – არავის აქვს უფლება, მას პოლიტიკაში ყოფნა აუკრძალოს. ისე, ყველაზე მეტად სააკაშვილის გუნდს უნდა მისი ჩამოშორება.

***– რატომ?***

– სააკაშვილის გარემოცვას ჰგონია, რომ ის (სააკაშვილი) ხელს უშლის პოლიტიკოსების წინსვლას, მათ კარიერას. ნახეთ, რა ამბავში არიან ბოკერია და ჩერგოლეიშვილი, როგორ აკრიტიკებენ სააკაშვილს!

***– ბოკერია და ჩერგოლეიშვილი ნაცმოძრაობაში არ არიან. მათ სხვა პარტია აქვთ.***

– მერე რა. ეგზიუპერი ამბობდა, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო. ქართველი პოლიტიკოსები მოდიან საკუთარი პოლიტიკური წარსულიდან. ბოკერია დიდხანს იყო სააკაშვილის გვერდით.

***– მაინც, ვისი ხმების მოზიდვას შეძლებენ „ქართული ოცნება“ და მისგან გამოყოფილი მომავალი ორგანიზაცია?***

– ოპოზიციის ხმებს ვერ მიიზიდავენ. მათ შორის ხდება შიდაპარტიული რესურსების გადანაწილება.

***– თუ სააკაშვილი ნამდვილად გაეცალა პოლიტიკას, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა?***

– ცუდ დღეში. ნაციონალური მოძრაობა ერთი ლიდერის გარშემო შემოკრებილი ძალაა. სააკაშვილი თუ წავიდა, პარტია დაკარგავს ელექტორატს. ზოგადად, ოპოზიცია, რომელიც ხან პარლამენტს უცხადებს ბოიკოტს, ხან პოლიტიკურ შეთანხმებას, სახარბიელოდ არ გამოიყურება. ოპოზიციაში დღეს არის ხალხი, რომელსაც საკუთარი ანგარიშები აქვს და ქვეყნის ბედი არ აწუხებს. ოპოზიციამ თავის ოლიგარქებს და ოლიგარქიულ პარტიებს მიხედოს. პარტია „ლელო“ დააარსეს ოლიგარქებმა. მსხვილი ბურჟუაზია მოვიდა აქტიურ პოლიტიკაში. სპორტული გაზეთი „ლელო“ საბჭოთა დროსაც გამოდიოდა. მაშინ აგრეთვე გამოდიოდა „სოვეტსკი სპორტი“. პარტია „ლელო“ თავისი ბურჟუაზიული ანგარიშებით „ლელო“ კი არა, „სოვეტსკი სპორტია“.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები“

„2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები, ჯამში დაახლოებით 50%-იანი მატება გამოვა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში“ – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.



პრემიერ-მინისტრის თქმით, სახელმწიფოს მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო დამატებითი შემოსავლები გაუჩნდა და ამიტომ, სექტემბერში ბიუჯეტის კორექტირება მოხდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი შემოსავლები უფრო მეტი პროექტის დაფინანსების საშუალებას მისცემს მთავრობას.

– ჩვენ, სავარაუდოდ, სექტემბრის თვეში მივმართავთ პარლამენტს და მოვახდენთ ბიუჯეტის კორექტირებას. ბიუჯეტი გაიზრდება, ვინაიდან დამატებითი შემოსავლები გაუჩნდა სახელმწიფოს ასეთი მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო და, რა თქმა უნდა, უფრო მეტი თანხები გვექნება გასანაწილებელი უწყებების მიხედვით, უფრო მეტი პროექტი დაფინანსდება. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის შრომითი ანაზღაურება იზრდება. მინდა ასევე შევახსენო საზოგადოებას, რომ წლების განმავლობაში, დაახლოებით 2017 წლიდან 2020 წლამდე, პრაქტიკულად არც ერთ წელს არ გაზრდილა ხელფასები საჯარო სექტორში, რაც, ვფიქრობ, დიდი შეცდომა იყო.

ჩვენ თუ შევადარებთ კერძო სექტორში და საჯარო სექტორში არსებულ შრომით ანაზღაურებას, ჩამორჩენა არის საგრძნობი და ამას სჭირდება მოწესრიგება. ამიტომ, ჩემი დავალებით, წელს, იანვარში დავიწყეთ ამის მოწესრიგება, იანვარში 10%-ით გაიზარდა ხელფასი ყველა საჯარო მოხელისთვის. ახლა უკვე ფინანსთა მინისტრმა წარმოადგინა ჩვენი ხედვა, განისაზღვრა კრიტერიუმები და დადგენილებით უკვე მოწესრიგდება აღნიშნული საკითხი, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ 2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები. ჯამში დაახლოებით 50%-იანი მატება გამოვა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ტენდენციებს, პროცესს, დინამიკას სჭირდება შენარჩუნება, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა გვჭირდება სამინისტროებს, მეტი კარგი ინიციატივები, რომელსაც ძალიან მალე გავაჟღერებთ და დავიწყებთ სექტემბრიდან. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა სტაბილურობის მნიშვნელობას, რომელიც ჩვენ, ჩვენმა გუნდმა, მთავრობამ, მმართველმა გუნდმა შევინარჩუნეთ ამ რთულ პერიოდში და კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მოსახლეობას, ჩვენს ხალხს ვუთხრა, რომ ჩვენთან შენარჩუნდება მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა, რაც ნიშნავს მეტ კეთილდღეობას ჩვენი მოქალაქეებისა და ჩვენი ქვეყნისთვის, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# დავით ჯიჯეიშვილი — ხულიგნობაში თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ — ვაღიარებ, რომ მირიან კუკავა ჩემი მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა

– ხულიგნობაში თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ. ვაღიარებ, რომ ჩემი მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა, – ამის შესახებ ცხვარიჭამიაში 20 წლის ახალგაზრდის, მირიან კუკავას განზრახ მკვლელობაში ბრალდებულმა დავით ჯიჯეიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა.

ამასთან, საქმეზე დაკავებული სხვა 7 პირი ბრალს არ აღიარებს.

დაკავებულ რვავე პირს ბრალი ოფიციალურად 30 ივლისს წარუდგინეს. ბრალდებული 7 პირიდან 5 პირს ბრალი ჯგუფური ხულიგნობით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო 2 პირს ბრალდება ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის მუხლებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება დავით ჯიჯეიშვილს, მას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დანის გამოყენებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცნობისთვის, შემთხვევა ცხვარიჭამიაში რამდენიმე დღის წინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, 20 წლის მირიან კუკავა მეგობრის – ქეთათო არაბულის სახლში, დაბადების დღეზე იმყოფებოდა, რა დროსაც სუფრასთან ახალგაზრდებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. აღნიშნული მოგვიანებით ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, სავარაუდოდ, დავით ჯიჯეიშვილმა მირიან კუკავას გულ-მკერდის არეში დანით ჭრილობა მიაყენა, ის შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. თავად ჯიჯეიშვილი კი მიმალვაში თითქმის ერთი დღის განმავლობაში იმყოფებოდა, მის დასაკავებლად სამართალდამცავები სამძებრო მოქმედებებს ახორციელებდნენ.

ცხვარიჭამიაში 20 წლის მირიან კუკავას მკვლელობის საქმის პროკურორის, დავით ყაზარაშვილის განცხადებით, საქმეზე დაკავებულების მიმართ პატიმრობის შეფარდება მოწმობს იმას, რომ მათ წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არსებობს.



როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეში არსებობს მოწმე, რომელიც მომხდარ ფაქტს შეესწრო.

„როგორც ცნობილია, სასამართლომ რვავე ბრალდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება და მათ პატიმრობა შეეფარდათ. ეს არის კიდევ ერთხელ იმის დადასტურება, რომ საქმეზე ნებისმიერი მათგანის მიმართ საკმარისი მტკიცებულებები არსებობს" – განაცხადა პროკურორმა.

დავით ყაზარაშვილის თქმით, ჩხუბში რამდენიმე ადამიანი იყო ჩართული, მათ შორის 5 ბრალდებული, რომელთაც ბრალი ხულიგნობისთვის წაუყენეს.

– კონფლიქტი დაიწყო მხარის გაკვრით, რის შემდეგაც ეზოში ჩხუბი დაიწყეს. ჩხუბში რამდენიმე ადამიანი იყო ჩართული, მათ შორის ის 5 ბრალდებული, რომელთაც ბრალი ხულიგნობისთვის წაუყენეს. შემდეგ უკვე გარდაცვლილს, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის გაგრძელდა ეს კონფლიქტი ეზოს გარეთ, ქუჩაში, სადაც მკვლელობა მოხდა, – განაცხადა პროკურორმა.

როგორც მან აღნიშნა, მომხდარ ფაქტს მოწმე შეესწრო, თუმცა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორი არ აკონკრეტებს, ვინ არის მოწმე.

– საქმის მასალებით და ადამიანების დაკითხვით ჩანს, რომ იყვნენ მირიან კუკავა, ბრალდებული და ერთი სხვა მოწმე, რომელიც მომხდარ ფაქტს შეესწრო. გეტყვით იმას, რომ ეს ადამიანი შეესწრო ფაქტს, იქ იმყოფებოდა იმ დროს და სხვადასხვა მოვლენებს აღწერს. რაც შეეხება მკვლელობის ფაქტს, ბრალდებულიც აღიარებს ამ ყველაფერს, – განაცხადა პროკურორმა.

მისივე თქმით, ვინც საქმეზე ხულიგნობის მუხლით არის დაკავებული, ყველა ჩხუბობდა. როგორც პროკურორი განმარტავს, ეს საქმის მასალებით და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება.

– ვიდეოკამერები არ იყო, თუმცა არის მოწმეთა ჩვენებები, ვინც ადასტურებს ფაქტს, რომ ეს ადამიანები ჩხუბობდნენ. რაც შეეხება უფლებადამცველების განცხადებებს, ბუნებრივია, ისინი სხვა რამეს არც იტყოდნენ. მთავარი მტკიცებულება არის ჩვენებები და დაზიანებები, ექსპერტიზები, – განაცხადა პროკურორმა.

დავით ყაზარაშვილის განმარტებით, წვეულებაზე, სადაც მკვლელობა მოხდა, გარდაცვლილის გარდა, 30 ადამიანი იმყოფებოდა და ყველა მათგანი გამოიკითხა. პროკურორის თქმით, საქმეზე გამოძიება გრძელდება.

შეგახსენებთ, ცხვარიჭამიაში, 20 წლის მირიან კუკავას მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ დავით ჯიჯეიშვილს და კიდევ 7 პირს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

– დღეს იმის ილუზია არ გვქონია, რომ შესაძლებელი იყო სასამართლოს რაიმე სხვა გადაწყვეტილება მიეღო. მეტსაც გეტყვით, ჩვენ შორის გირაოს გამოყენების შესაძლებლობის საკითხი არც განხილულა, – ამის შესახებ ცხვარიჭამიაში, 20 წლის მირიან კუკავას მკვლელობაში ბრალდებულის, დავით ჯიჯეიშვილის ადვოკატმა, გიორგი გვაჯაიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, მკვლელობაში ბრალდებული დავით ჯიჯეიშვილი და მოკლული, მირიან კუკავა ერთმანეთს არ იცნობდნენ.

– 29 ივლისს დავით ჯიჯეიშვილი დედის თანხლებით, პოლიციის განყოფილებაში აღიარებით მივიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მის მიერ ჩადენილ ბრალეულ ქმედებას ათვითცნობიერებს, გულწრფელად ინანიებს მას და უკვე 29 ივლისიდან შესაბამისი სასჯელისთვის ემზადება. ამდენად, დღეს იმის ილუზია არ გვქონია, რომ შესაძლებელი იყო სასამართლოს რაიმე სხვა გადაწყვეტილება მიეღო. მეტსაც გეტყვით, უფრო ნაკლებად მკაცრ აღკვეთის ღონისძიების შესაძლებლობასთან დაკავშირებით მას ჩემთვის არც უკითხავს და ჩვენს შორის გირაოს გამოყენების შესაძლებლობის საკითხი არც განხილულა, – განაცხადა გიორგი გვაჯაიამ.

ბრალდებულის ადვოკატი მკვლელობის მოტივზე განმარტებებს არ აკეთებს.

– მოტივი არის უკვე დეტალებზე საუბარი. დეტალებზე ორი მიზეზის გამო ვერ და არ ვისაუბრებ. პირველი, ჯერჯერობით გამოძიება მიმდინარეობს და მეორე, მინდა იცოდეთ, რომ მე, გარდა ჩემი პროფესიული ვალდებულების შესრულებისა, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა მაქვს. შესაბამისად, საზოგადოების ცნობისმოყვარე ნაწილის დაკმაყოფილების ხარჯზე საზოგადოების შეგნებულ ნაწილს ვერ დავაზარალებ, რომელსაც შეიძლება იმ დეტალების საჯაროდ გახმოვანებით ტკივილი მიადგეს, რასაც ამ საქმესთან ჰქონდა შემხებლობა, – განაცხადა უფლებადამცველმა.

## ხულოში სატვირთო ავტომობილი ხევში გადავარდა



ხულოს მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 26 წლის მამაკაცი დაიღუპა, დაშავდა კიდევ ერთი პირი.

შემთხვევა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მაშინ მოხდა, როდესაც სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## მამუკა ონაშვილი გარდაიცვალა



მომღერალი მამუკა ონაშვილი 55 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" თსსუ-ს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკურმა დირექტორმა ლალი ტურძელაძემ დაუდასტურა.

მამუკა ონაშვილი თსსუ-ს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ მამუკა ონაშვილი 30 ივლისს ნატახტართან ავარიაში მოყვა, რა დროსაც ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ადგილზე 1 ადამიანი დაიღუპა, 3 კი დაშავდა.

## მიხეილ სააკაშვილის და თემურ ჯანაშიას სასამართლო პროცესი გადაიდო

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის, თემურ ჯანაშიას სასამართლო პროცესი ამჯერადაც გადაიდო.

სხდომაზე მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა ორი დოკუმენტი წაიკითხა. პენიტენციური დეპარტამენტის მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილს სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება შეეთავაზა როგორც სასამართლოში წარდგენის გზით, ასევე დისტანციურად, თუმცა, მან აღნიშნულზე უარი განაცხადა და მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა.

მოსამართლემ ასევე წაიკითხა კლინიკა „ვივამედიდან" გაგზავნილი ცნობა, სადაც მითითებული იყო, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი პროცესში მონაწილეობის მიღება მიზანშეწონილი არ იყო. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებულის გამოუცხადებლობა საპატიოდ მიიჩნია და სხდომა საშ-



ვებულებო პერიოდის გათვალისწინებით, 20 სექტემბრამდე გადადო.

ცნობისთვის, აღნიშნულ საქმეზე, რომელსაც საზოგადოება ე.წ. პიჯაკების საქმედ იცნობს, მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშიაც. პროკურატურა ბრალდებულებს საბიუჯეტო თანხის დიდი ოდენობით – 9 მილიონი ლარის ჯგუფურად გაფლანგვას ედავება.

## სავარაუდოდ, სექსუალური ძალადობა და წამება
### უკრაინელი ქალი ამ დრომდე კრიტიკულ მდგომარეობაშია – ახალი დეტალები

უკრაინიდან დევნილი ახალგაზრდა ქალი ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. სავარუდოდ, ის სექსულური ძალადობისა და წამების მსხვერპლია, თუმცა გამომძიებლები დეტალების დადგენას მისი კრიტიკული მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ.

საქმეში ფიგურირებს კიდევ ერთი პირი, ტაქსის მძღოლი, რომელმაც დაზარალებული თავდაპირველად ლანჩხუთის საავადმყოფოში მიიყვანა. პოლიციამ მძღოლი მოწმის სტატუსით გამოკითხა, შესაძლო ძალადობის სხვა დეტალები, ჯერჯერობით უცნობია.

კლინიკის მედპერსონალი პირად საუბარში ადასტურებს, რომ სექსუალური ძალადობის კვალი უკრაინელ ქალს ნამდვილად აღენიშნება, მას სხეულზე ასევე აღენიშნება დამწვრობის კვალი, რომელიც, სავარაუდოდ, ანთებული სიგარეტით აქვს მიყენებული.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „7 წლის წინ სუსი ცალკე სტრუქტურად დავაფუძნეთ. გავატარეთ უმნიშვნელოვანესი რეფორმა"

ირაკლი ღარიბაშვილი სუს-ის დაარსების 7 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე – ჩვენ ძალზე ვაფასებთ იმ უდიდეს წვლილს, რომელიც თქვენ შეგაქვთ ჩვენი მოქალაქეების და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებაში.

– 7 წლის წინ სუსი ცალკე სტრუქტურად დაფუძნებით ჩვენ გავატარეთ უმნიშვნელოვანესი რეფორმა; შეიქმნა მას შემდეგ დამოუკიდებელი, ძლიერი სამსახური, რომელიც



არის ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე, რომლის მთავარი მიზანია ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს, მისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსების 7 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სამსახური ჩამოყალიბდა ქვეყნისთვის საკვანძო, თანამედროვე სტანდარტების ინსტიტუტად, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას მრავალი მიმართულებით.

– დიდი მადლობა, ბატონო გრიგოლ! ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით ყველას დიდი პატივისცემით! დიდი პატივია ჩემთვის დღეს აქ ყოფნა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსების 7 წლისთავთან დაკავშირებით, სუს-ის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა სამსახურის თანამშრომლები დააჯილდოვა.

## ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში ჩხუბის ფაქტზე გამოძიება დაიწყო



ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში ათობით პირის ჩხუბის ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც უწყებაში „ინტერპრესნიუსს" განუცხადეს, გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 239-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ხულიგნობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში მყოფი პირები, მუსიკის ჩართვის გამო, ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, რესტორნის სტუმრების ნაწილს მუსიკის ჩართვა სურდა, ხოლო სხვა მაგიდასთან მყოფები მუსიკის ჩართვას აპროტესტებდნენ, ქვეყანაში გამოცხადებული გლოვის დღის გამო, რასაც მხარეებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

# რუსეთი თავისი ძალების მნიშვნელოვან ნაწილს დონბასის ჩრდილოეთ სექტორიდან უკრაინის სამხრეთით გადაიყვანს




რუსეთმა იგრძნო სამხრეთით საკუთარი დაჯგუფების გაძლიერების აუცილებლობა. ცალსახაა, ამას ძალების გადაადგილებით შეეცდება, რომელიც ახლა დონბასშია განთავსებული, – ამის შესახებ ბრიტანული დაზვერვის უახლეს ანგარიშშია ნათქვამი.

ამასთან, რუსული ძალები ცდილობენ ბახმუტის მიმართულებით შეტევას, სადაც ოკუპანტები პროგრესს აღწევენ.

„როგორც გასულ კვირას უკრაინის ხელისუფლება აცხადებდა, დიდი ალბათობით, რუსეთი თავისი ძალების მნიშვნელოვან ნაწილს დონბასის ჩრდილოეთ სექტორიდან უკრაინის სამხრეთით გადაიყვანს. რუსეთი დააკორექტირებს დონბასზე თავდასხმის ოპერატიულ გეგმას მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო ოპერატიული გარღვევა გეგმის მიხედვით, რომელსაც ის აპრილიდან მოყოლებული ეყრდნობოდა. ახლა, როგორც ჩანს, ფრონტი ზაპოროჟიესთან განსაზღვრეს როგორც სუსტი მონაკვეთი, რომელიც გაძლიერებას საჭიროებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# მარცვლეულით დატვირთულმა პირველმა გემმა ოდესის პორტი დატოვა




სიერა-ლეონეს დროშის ქვეშ მცურავმა გემმა „რაზონი“, რომელიც 26 ათასი ტონა მარცვლეულით არის დატვირთული, ოდესის პორტი დატოვა. გემი ლიბანის მიმართულებით გაემგზავრა. ეს მარცვლეულით დატვირთული პირველი გემია, რომელმაც უკრაინის პორტი კრემლის მიერ წამოწყებული ომის შემდეგ დატოვა. ინფორმაციას უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრი ავრცელებს.

– უკრაინამ ჩვენს პარტნიორებთან ერთად დღეს გადადგა მორიგი ნაბიჯი მსოფლიო შიმშილის შესაჩერებლად, – განაცხადა ინფრასტრუქტურის მინისტრმა ალექსანდრ კუბრაკოვმა.

კუბრაკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინამ გააკეთა ყველაფერი პორტების აღსადგენად. მისივე თქმით, პორტებზე ბლოკადის მოხსნა ქვეყნის ეკონომიკას 1 მილიარდი დოლარის ოდენობის მოგებას მოუტანს.

უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა თქვა, რომ რუსეთის შემოჭრის დაწყების შემდეგ უკრაინის პორტებში 16 დატვირთული გემი იყო ჩარჩენილი და რომ ისინი გეგმავენ პორტების სრული სატრანსპორტო შესაძლებლობების აღდგენას უახლოეს კვირებში.

აღსანიშნავია, რომ 22 ივლისს სტამბოლში მიღწეული შეთანხმებით რუსეთი დათანხმდა უკრაინულ პორტებზე ბლოკადის მოხსნას, თუმცა იმის გამო, რომ შეთანხმებიდან 24 საათზე ნაკლებ დროში მან სარაკეტო თავდასხმა განახორციელა ოდესის პორტზე, ახლა ინტერესის მთავარი საგანია, ბოლომდე შეასრულებს თუ არა კრემლი ნაკისრ ვალდებულებას.

# თალიბანსა და ირანელ მესაზღვრეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა



ამის შესახებ ინფორმაცია მედიაში ვრცელდება.

მედიის ცნობით, თალიბებმა განაცხადეს, რომ მათი ერთ-ერთი ჯარისკაცი აღნიშნულ დაპირისპირებაში დაიღუპა, რომელიც ავღანეთის ნიმროზის პროვინციასა და ირანის ჰირმანდის რეგიონს შორის სასაზღვრო ზონაში მოხდა.

ამასთან, თითოეულმა ქვეყანამ მომხდარში ერთმანეთი დაადანაშაულა.

„ჩვენ ერთი მოკლული და ერთი დაჭრილი გვყავს“ – განაცხადა ნიმროზის პოლიციის სპიკერმა.

ირანის საინფორმაციო სააგენტო ტასნიმმა განაცხადა, რომ ბრძოლები მას შემდეგ დაიწყო, რაც თალიბანის ძალებმა თავიანთი დროშის აღმართვა სცადეს იმ „რაიონში, რომელიც ავღანეთის ტერიტორია არ არის“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### გოგონამ ალიგატორის თავდასხმა მოიგერია



აშშ-ში 13 წლის გოგონამ მოახერხა თავი დაეცვა ალიგატორისგან, რომელიც მას ბანაობის დროს თავს დაესხა.

ფლორიდის შტატის ქალაქ ზოლფო-სპრინგსის მცხოვრები ბრიან მორი მეგობრებთან ერთად ტბაზე საბანაოდ იმყოფებოდა. მოზარდები ნავმისადგომის შორიახლოს ბანაობდნენ, როდესაც მორს თავს ალიგატორი დაესხა.

– მივტრიალდი, ვინაიდან გავიგონე, რომ რაღაც გასრიალდა წყალზე და ამ დროს ალიგატორი შეეცადა ჩემთვის ფეხში ჩაევლო პირი, – იხსენებს მოზარდი.

გოგონამ თავდასხმის აცილება მოახერხა და ნაპირისკენ გაცურა, მაგრამ რეპტილიაც მოტრიალდა და მას გამოეკიდა. ამჯერად ალიგატორმა მორს პირი ხელში სტაცა. საპასუხოდ გოგონამ მტაცებელს თავში ჩასცხო. ამის შედეგად ალიგატორმა მსხვერპლს თავი ანება და გაეცალა.

გოგონა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმების თქმით, გოგონასთვის ხელზე მიყენებული დაზიანებები სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის და ის მალე შეძლებს მის ხმარებას.

### დათვები მამაკაცს თავს დაესხნენ



ინდოეთში ძუ დათვი და მისი ნაშიერი მამაკაცს თავს იმ დროს დაესხნენ, როდესაც ის ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა.

აღნიშნული ინციდენტი ოდიშას შტატის ქალაქ ბალასორის მახლობლად მდებარე სოფელ ჯადაპადასთან მოხდა. ადგილობრივი მკვიდრი გოპინადხა კისკუ ბუჩქნარში შევიდა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მოულოდნელად მის გვერდით დათვები გამოჩნდნენ და თავს დაესხნენ.

მამაკაცმა მათი მოგერიება ცადა და თანაც ყვირილით მაშველებს უხმობდა. მის ყვირილზე თანასოფლელებმა მოირბინეს და მტაცებლების მოგერიებაში დაეხმარნენ, შემდეგ ექსტრემალური სამსახური გამოიძახეს და მძიმედ დაშავებული მამაკაცი ჯერ ერთ-ერთ ადგილობრივ, შემდეგ კი ქალაქ კატაკის სამედიცინო კოლეჯთან არსებულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

### ობობისებრმა მაიმუნებმა გოგონაზე შური იძიეს



მექსიკის ზოოპარკში ობობისებრმა მაიმუნებმა შური იძიეს გოგონაზე, რომელიც მათ აღიზიანებდა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ მიდის გოგონა მაიმუნების ვოლიერთან. ერთ ხელში მას ტელეფონი უჭირავს, ხოლო მეორით ვოლიერის გისოსებზე აბრახუნებს. ამ დროს ერთ-ერთი მაიმუნი აღრიალდა, შემდეგ თათი გისოსებს შორის გამოაძვრინა და გოგონას თმაში ჩაავლო. გოგონამ ტკივილისგან ყვირილი ატეხა, მაგრამ ამას მაიმუნმა უფრო მეტი აგრესიით უპასუხა და უფრო ძლიერად მოქაჩა თმაზე. მაიმუნი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც საქმეში იქვე მდგომი მამაკაცი ჩაერია.

გოგონა შეეცადა, ვოლიერს მოშორებოდა, მაგრამ ამ დროს მას თმაში უკვე მეორე მაიმუნი ჩააფრინდა. ამჯერად გოგონამ თავის გათავისუფლება დაუხმარებლად მოახერხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ოქრიაშვილი ისევ სამედიცინო შემოწმებაზე ჩავარდა



ქართველ ფეხბურთელს, თორნიკე ოქრიაშვილს კარიერა სამხრეთკორეულ ჩონბუკში უნდა გაეგრძელებინა. ამის შესახებ კლუბმა საკუთარ ვებგვერდზეც გამოაცხადა, მაგრამ მოულოდნელად გარიგება ჩაიშალა. სამხრეთ კორეის ჩემპიონის ვებგვერდის ცნობით, კლუბსა და ფეხბურთელს შორის თანამშრომლობა არ გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის ფეხბურთელმა კვიპროსულ აპოელ-თან ხელშეკრულება ამ ზაფხულს გაწყვიტა, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და კარიერის გაგრძელება სამხრეთ კორეაში გადაწყვიტა. ჩონბუკმა ოქრიაშვილის დამატების შესახებ ივლისის შუა რიცხვებში გამოაცხადა.

როგორც ირკვევა, თანამშრომლების გაწყვეტის მიზეზი ქართველი ფეხბურთელის დეტალური სამედიცინო გამოკვლევის შედეგებია, რომელიც კლუბისთვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

– ჩონბუკმა თორნიკე ოქრიაშვილი 15 ივლისს, ლოკალური შემოწმებით, სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებამდე დაიმატა და ვინაიდან შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მისი მონაცემები არ შეესაბამება კლუბის მოთხოვნებს, ფეხბურთელთან შეთანხმებით, ხელშეკრულების გაუქმება გადაწყდა. ბოდიშს ვუხდით გულშემატკივრებს, რომლებიც ელოდნენ თორნიკეს. მას მომავალში წარმატებებს ვუსურვებთ.

ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც ოქრიაშვილს სამედიცინო შემოწმების გამო იწუნებენ. პირველად ეს მარსელის შემთხვევაში მოხდა.

ოქრიაშვილმა კარიერა გაგრაში დაიწყო, რომელიც 2010 წელს დატოვა და მას შემდეგ საზღვარგარეთ თამაშობს. ქართველ ფეხბურთელს მარიუპოლში, ჩერნომორეცში, ბელგიურ გენკში, თურქულ ეშკიშეჰირსპორში, რუსულ კრასნოდარში, კვიპროსულ ანორთოსისსა და აპოელ-ში აქვს ნათამაშები.

საქართველოს ნაკრებში ოქრიაშვილმა 49 მატჩში 13 გოლი გაიტანა.

# ინგლისი ევროპის ჩემპიონი პირველად რეკორდული დასწრების თვალწინ გახდა



ქალთა ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა „უემბლიზე“ გაიმართა და უდიდესი ინტერესი გამოიწვია – ტრიბუნები ბოლომდე გაივსო და თამაშს 87.192 გულშემატკივარი დაესწრო, რაც ევროპის ჩემპიონატების რეკორდია არა მხოლოდ ქალთა, არამედ მამაკაცთა შორის!

2 წაგებული ფინალის შემდეგ ინგლისელმა ქალებმა, როგორც იქნა, ევროპის ჩემპიონატი მოიგეს. „უემბლიზე“ ძუ „ლომებმა“ გერმანია დამატებით დროში 2:1 დაამარცხეს და ძალიანაც გაიხარეს.

ინგლისის მწვრთნელი სარინა ვიგმანი კი, ზედიზედ მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი – 2017 წელს მან ნიდერლანდების ნაკრები მიიყვანა ევროპის ჩემპიონობამდე.

ზედ ფინალური მატჩის წინ, მოთელვისას, გერმანელებს ლიდერი, კაპიტანი, გუნდის სული და გული ალექსანდრა პოპი დაუშავდათ, რომელიც მთელი ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ, თუმცა ბედის უკუღმართობით ფინალის გამოტოვებამ მოუწია.

ინგლისი მე-2 ტაიმის შუისკენ ელლა ტონმა დააწინაურა, როცა პირისპირ დარჩენილმა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. გერმანია კი რისი გერმანია იქნებოდა, ანგარიშს შეგუებოდა – მალევე ლინა მაგულიმ შეძლო გათანაბრება და აქეთ-იქეთა კართან, ბევრი მცდელობის მიუხედავად, თამაში დამატებით დროში გადავიდა.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით კი განახლდა, მაგრამ მაინც, ჩანდა, რომ მატჩის ბოლო პენალტები იქნებოდა... მოულოდნელად, გერმანელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით შოლ კელიმ ისარგებლა და ინგლისს ნანატრი ტიტული მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა მე-9 ფინალი ითამაშეს და პირველად წააგეს...

# ამერიკული კალათბურთის ლეგენდა გარდაიცვალა




ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი ბილ რასელი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. ადამიანი, რომელსაც იმდენი საჩემპიონო ბეჭედი აქვს მოპოვებული, რომ ორივე ხელის თითებზე არ ეტეოდა.

ბილ რასელი ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო: ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალში 13-ჯერ ითამაშა და 11-ჯერ ჩემპიონი გახდა; 12-ჯერ ნბა-ს „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში ითამაშა; ხოლო 5-ჯერ ლიგის საუკეთესო მოთამაშედ(მვპ) დასახელდა; 1956 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა; 2-ჯერ ნბა-ს ჩემპიონი მოთამაშე-მწვრთნელის ამპლუაში გახდა.

ნბა-ში რასელის აქტივში 14.522 ქულა, 21.620 მოხსნა და 4.100 პასი მიითვალა. საშუალო მაჩვენებელი კი – 15.1 ქულა, 22.5 მოხსნა და 4.3 პასი.

ბოსტონის გარდა გაუწვრთნია სიეტლ სუპერსონიქსი და საკრამენტო კინგსი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### ქურდს გასაღებები დარჩა და მის წასაღებად დანაშაულის ადგილზე დაბრუნდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-რაფაელში ქურდს გასაღებები დარჩა ფუნთუშების მწარმოებელ კომპანიაში და მათ წამოსაღებად დანაშაულის ადგილზე დაბრუნდა.

სან-გრანცისკოს ყურის ოლქში ქურდმა კომპანია ჯონი დონატსის ოფისიდან ფული მოიპარა. გარდა ამისა, მან წაიღო კომპანიის კუთვნილი ავტომობილის გასაღებები, თუმცა თავად ავტომობილი არ გაუტაცია.

მძარცველს დანაშაულის ადგილზე საკუთარი გასაღებები დარჩა, ამის გამო დანაშაულის ადგილზე დაბრუნდა, გასაღებები აიღო და მიიმალა. პოლიციამ საზოგადოებას მიმართა თხოვნით, დაეხმაროს დამნაშავის ვინაობის დადგენაში.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ჩანს, თუ როგორ გადაადგილდება კომპანიის ოფისსა და საწყობებს შორის მამაკაცი. მან გახსნა კაბინეტის კარი და იქიდან გაიტანა ჩანთა, რომელშიც ნაღდი ფული იდო. თუ რა ოდენობის თანხის წაღება მოახერხა დამნაშავემ, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ოლიმპიურ ფესტივალზე ყველა მედალი ძიუდოისტების არის



ბანსკა-ბისტრიცას მე-16 ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბოლო საშეჯიბრო დღეს საქართველოს ნაკრებს გუნდური მედალიც შეემატა. წარმატება აქაც ძიუდოისტთა ნაკრებზე მოდის, რომელმაც პირადი პირველობის შემდეგ საკუთარი ძალები გუნდურში მოსინჯა და კვარცხლბეკზე ასვლაც დაიმსახურა.

ჩვენი გუნდი – სანდრო ახლოური, ნინო გულბანი, გიორგი ტაბატაძე, მარიამ ფოცხვერაშვილი, თორნიკე მოსიაშვილი და ნინო ლოლაძე, ასპარეზობაში მე-2 წრიდან ჩაება. ქართველებმა ჯერ მოლდავეთი (4:3) დაამარცხეს, შემდეგ – იტალია (4:0), მაგრამ ნახევარფინალში უკრაინასთან (2:4) წააგეს და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა გააგრძელეს. საქართველოს ნაკრებს სამედლო დაპირისპირება გერმანიასთან მოუწია და წარმატებასაც მიაღწია.

ჯამში საქართველოს დელეგაციამ მე-16 ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 8 მედლით დაასრულა და 8-ვე მედალი ძიუდოისტებმა მოიპოვეს.

ორჯერ გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი: დავით ლომიტაშვილმა (55) და გიორგი ტაბატაძემ (+100) ჩემპიონობით გვასახელეს. ბრინჯაოს მედლები დავით ქარელს (60), თორნიკე მოსიაშვილს (66), არჩილ მამულაშვილსა (90) და გიორგი ბადუაშვილს (100) ერგოთ. ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საქართველოს გოგონათა ნაკრების წარმომადგენელმა ნინო გულბანმა (70). ერთი ბრინჯაოს მედალი კი, გუნდურ პირველობაზე მოდის.

ოლიმპიურ ფესტივალზე სპორტის 10 სახეობაში მედლების 120 კომპლექტი გათამაშდება. მათ შორის 7 სახეობაში (ძიუდო, ცურვა, ველოსპორტი, ბადმინტონი, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში) საქართველო 28 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

ფესტივალში მონაწილეობდა 48 ქვეყნის 2.200-მდე სპორტსმენი.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, კორონავირუსის პანდემიის გათვალისწინებით, ორი წლით დაგვიანებით ჩატარდა.

მომდევნო ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს გაისად, 23-29 ივლისს მარიბორი (სლოვენია) უმასპინძლებს.

# გოგონებმა ც დივიზიონი მოიგეს, ბიჭები ბ დივიზიონში იბრძვიან




საქართველოს 18 წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ც დივიზიონის ჩემპიონია. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში მალტა დამაჯერებელი სხვაობით 61:37 დაამარცხა და ბ დივიზიონში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

გუნდმა ჩემპიონატის განმავლობაში 4-ვე მატჩი მოიგო. ერთადერთი რთული ბრძოლა ნახევარფინალური შეხვედრა იყო ალბანეთთან, რომლის ბედიც ბოლო წამებზე გადაწყდა. თუმცა ც დივიზიონის მოგება დამსახურებულად მოახერხა.

ფინალში ქართველებს შორის საუკეთესო შედეგი ლიკა კვირკველიას ჰქონდა, რომელმაც 18 ქულა და 19 მოხსნა და 4 პასი დააგროვა. აღსანიშნავია ნატალი ჩუტკერაშვილის თამაში, რომელმაც 12 ქულა და 19 მოხსნა მიითვალა. მსგავსად წინა შეხვედრებისა, ფინალშიც გამოირჩეოდა სალომე სვანი, მან გუნდს 12 ქულა და 6 მოხსნა და 3 პასი მოუტანა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე სწორედ სვანი გახდა, ხოლო მასთან ერთად, ცენტრი ლიკა კვირკველია, ც დივიზიონის სიმბოლურ ხუთეულში შევიდა.

საქართველოს 18-წლამდელთა ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში პირველი მარცხი განიცადა. რუმინეთის ქალაქ პლოეშტში ტურნირის 2 გამარჯვებით დაწყების შემდეგ დავით როგავას გაწვრთნილი ჩვენი გუნდის მორიგი მეტოქე ბულგარეთი გახლდათ, რომელსაც ჯგუფის საწყის 2 მატჩში თითო მოგებ-წაგება ჰქონდა. ბულგარელებმა საქართველოს მსგავსად კოსოვოს მოუგეს (85:65) და დაძაბულ ბრძოლაში, ქულა დათმეს (89:90) ბოსნია-ჰერცეგოვინასთან.

საქართველოსთან დაპირისპირებაში ბულგარელები თავიდანვე დაწინაურდნენ. პირველ პერიოდში სლავებმა 8-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, დიდი შესვენებისთვის კი ლიდერობა 12 ქულამდე გაზარდეს – 40:28. დავით როგავამ ნაკრების თამაშში კორექტივები შეიტანა, ჩვენმა ბიჭებმაც შედეგიანად თამაში იწყეს და მე-3 პერიოდში ჩამორჩენა მთელი 7 ქულით შეამცირეს.

ბოლო პერიოდში თანაბარი ბრძოლა წარიმართა. ბულგარელები ინარჩუნებდნენ მცირე უპირატესობას. ჩვენს ნაკრებში ტრადიციულად გიორგი ოჩხიკიძე გამოირჩეოდა. არანაკლებ შედეგიანად ირჯებოდა გიორგი სულაბერიძე, რომელიც 3-წამიან ზონაში მეტოქეს არაფერს უთმობდა. საქართველოს ნაკრები მატჩის დასრულებამდე ოთხიოდ წუთით ადრე, გუგა ნაცვლიშვილის ულამაზესი გარღვევა-ჩატენვის შემდეგ დაწინაურდა – 56:55.

ქულა-ქულაში მიმდინარე მატჩის ბოლო წუთი იწყებოდა, როცა ქართველები ქულას (61:60) აგებდნენ და უტევდნენ, მაგრამ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. სულაბერიძემ ბურთი დაკარგა, ჩამჭრელი ილიან პიშტიკოვი ჩვენს ფართან მარტო დარჩა, რომელმაც ზემოდან გდებით ბულგარეთი ქულით დააწინაურა. ჩვენს ნაკრებს შესანიშნავი შანსი შერჩა, მაგრამ ვერც ოჩხიკიძემ, ვერც გიორგი ალავიძემ 3-ქულიანები ვერ ჩააგდეს და ბულგარელებმა დასრულებამდე 17 წამით ადრე საჯარიმოთი უპირატესობა 2 ქულამდე გაზარდეს – 62:60.

ბულგარელებს იმან წააშველა ხელი, რომ პერიოდში მხოლოდ 1 გუნდური ჯარიმა ჰქონდათ. ისინი 3-ჯერ ზედიზედ დაჯარიმდნენ, რითაც ქართველებს შეტევის საშუალება არ მისცეს. ამასობაში ოქროს წამები გავიდა და როცა ბულგარელები საჯარიმოების ბონუსში გავიდნენ, საფინალო სირენამდე 4.6 წამით ადრე ქართველებმა ხელახალი შეტევა წამოიწყეს. პერიმეტრზე მარტო დარჩენილმა სანდრო კასაბურმა პოტენციურად გამარჯვების მომტანი 3-ქულიანი ააცილა და მატჩის ბედიც გაირკვა. ბულგარელებმა 2 ზუსტი საჯარიმოთი საბოლოოდ სათავისო ანგარიში დააფიქსირეს – 64:60.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შედეგი გიორგი სულაბერიძემ დააფიქსირა, რომელმაც 17 ქულა, 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 პასი მიითვალა. 21 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი გიორგი ოჩხიკიძის ანგარიშზეა.

საქართველოს ნაკრებს გადამწყვეტი მატჩი ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ელის.

## შედეგები

**31 ივლისი**
**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| სანდერლენდი-ქოვენთრი | 1:1 |
| **საფრანგეთი. სუპერთასი** | |
| პსჟ-ნანტი | 4:0 |
| **ბელგია. ა დივიზიონი** | |
| გენკი-სტანდარდი | 3:1 |
| ეუპენი-ბრიუგე | 2:1 |
| სერენი-კორტრაიკი | 0:1 |
| ანტვერპენი-ვარეგემი | 1:0 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | |
| აუსტრია-ლინცერი | 1:1 |
| კლაგენფურტი-რაპიდი | 0:1 |
| ტიროლი-ჰარტბერგი | 2:1 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | |
| სტ.მირენი-მოზერველი | 0:1 |
| სელტიკი-აბერდინი | 2:0 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | |
| ვინთენთური-ლუგანო | 1:4 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 1:1 |
| **ჩეხეთი. 1 ლიგა** | |
| ჰრადეც კრალოვე-სლავია | 1:0 |
| პარდუბიცე-ჩესკე | 0:2 |
| იაბლონეცი-ბოჰემიანსი 1905 | 0:3 |
| სპარტა-ლიბერეცი | 1:2 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| პოგონი-იაგელონია | 1:0 |
| ლეხი-ლოძი | 1:3 |
| ჩენსტოხოვა-სტალი | 3:2 |
| ლოძი-ლეხია | 2:3 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ოლბორგი-ჰორსენსი | 0:0 |
| ორხუსი-რანდერსი | 0:0 |
| ვიბორგი-კოპენჰაგენი | 4:2 |
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 2:0 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| სირიუსი-მიალბი | 0:1 |
| ჰამარბი-ვერნამო | 1:2 |
| ელფსბორგი-ჰაკენი | 4:4 |
| **ნორვეგია. ელიტსერია** | |
| მიოლდე-სტრომგოდსეტი | 3:0 |
| სარპსბორგი-ლილესტრიომი | 0:2 |

# ქალთა ნაკრები სტატუსს ამართლებს




ინდოეთში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე ორი ტურის შემდეგ ჩვენი ქალთა და ვაჟთა ნაკრებები ლიდერთა შორის იყვნენ... ქალებმა ეს სტატუსი შეინარჩუნეს, ხოლო ვაჟებმა პირველი მარცხი იწვნიეს.

ქალთა გუნდი ტურნირზე მე-3 ნომრად არის განთესილი და მეტოქედ სუსტი ჩეხეთი ჰყავდა, მაგრამ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა: ნანა ძაგნიძე და სალომე მელია შავი ფიგურებით იულია მოვსესიანსა და კაროლინა პილსოვას დაუზავდნენ, ხოლო ნინო ბაციაშვილმა თეთრებით იოანა ვორეკს მოუგო. გადამწყვეტი გამოდგა მერი არაბიძისა და ანა მარია კოუბოვას პარტია. ჩვენებური ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და ხელი ყაიმს გამოკრა – 2.5:1.5.

3 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 19 ნაკრები მეწინავეობს, მათ შორისაა ჩვენი გუნდიც. მეოთხე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები ინდოეთის მესამე გუნდს შეხვდება

ვაჟები პირველ ნომრად განთესილ ამერიკელებს შეერკინნენ. ბაადურ ჯობავამ თეთრებით ყაიმი ითამაშა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკე ფაბიანო კარუანასთან, ხოლო ლევან ფანცულაია ასევე თეთრებით პერეს დომინგეს დაუზავდა. შავი ფიგურებით მოთამაშე მიხეილ მჭედლიშვილმა და თამაზ გელაშვილმა კი, ლევონ არონიანთან და სამ შანკლადთან წააგეს – 1:3.

20 გუნდს 6-6 ქულა აქვს, საქართველო 4 ქულით 48-ე ადგილზეა და მე-4 ტურში მექსიკელებს დაუპირისპირდებიან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანი; 2. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 3. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 4. პლანეტა მარსის ძველი ქართული სახელწოდება; 5. დეკორატიული ჯიშის ხუჭუჭბეწვიანი ძაღლი; 9. თვითმფრინავმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ბრიტანეთში; 10. კავშირი, გაერთიანება; 14. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო; 15. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 16. სათათბირო ორგანო მართლმადიდებელ ეკლესიაში; 19. დიდი ბუ; 20. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 21. სარბოლო ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მომავლის გეგმები; 7. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 8. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 11. ქართული ხალხური ცეკვა; 12. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 13. ტკბილეულობის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. პატარა იუმორისტული მოთხრობა; 18. ქართველი ძიუდოისტი ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 23. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორი მხრიდან შესრულებული ნახატი; 24. თურქმენეთის დედაქალაქი; 25. სხეულის მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. ქცევა; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კუბდარი; 14. ალმაზა; 15. ფინიკი; 16. ომეგა.

**თარაზულად:** 1. ჭანეთი; 4. ექსცესი; 7. სტოუნი; 9. ლეკალო; 11. პრიკაზი; 12. კონკლავი; 13. თრომბი; 17. თელავი; 18. ეირე; 19. ბრილიანტი; 20. სიბარიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოცარტი; 2. სტიმული; 3. წინანდალი; 4. ელინგი; 5. უშგული; 9. ტურნე; 10. ბააზოვი; 14. კალათბურთი; 15. შინჰოფერი; 16. ბაგები; 19. პედანტი; 20. დაგერი; 21. მოპედი.

**თარაზულად:** 6. კონსტიტუცია; 7. ოჯალეში; 8. ბათუმი; 11. ბუნგალო; 12. ალტაი; 13. ფაეტონი; 17. დინოზავრი; 18. ამაშუკელი; 22. თალმუდი; 23. ბაობაბი; 24. სტიუარდი; 25. ხიროსიმა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7484

ევრო — 2.8168

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3649

100 რუსული რუბლი — 4.3654

## ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსათვის




## მესი: „მიხარია, რომ პსჟ-ს ტიტულის მოგებაში დავეხმარე“



პსჟ-მ საფრანგეთის სუპერთასი მოიგო და მათ ნანტი 4:0 დაამარცხეს. შეხვედრაში პირველი გოლი ლიონელ მესიმ გაიტანა, რომელიც, როგორც ჩანს, სეზონს ძალიან კარგ ფორმაში ხვდება. მესიმ მატჩის შემდეგ კომენტარიც გააკეთა:

— ძალიან მიხარია, რომ გოლი გავიტანე და ჩემს გუნდს გამარჯვებაში დავეხმარე, მაგრამ ვიცი, რომ კიდევ უფრო უკეთესად შემიძლია თამაში და გულშემატკივარს იმედს არ გავუცრუებ.

## ხავი: „ამხანაგური მატჩებით კმაყოფილი ვარ“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა ამხანაგურ მატჩებზე ისაუბრა და თქვა, რომ ის კმაყოფილია, თავისი ფეხბურთელების გარჯით და სურს, რომ ბარსელონამ ეს ფორმა დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნოს:

— ფეხბურთელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს და მინდა, რომ მათ ასე გააგრძელონ, რადგან სეზონი მალე დაიწყება და ბარსელონა ვალდებულია, რომ კარგად დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ტიტულებისთვის ბრძოლა გაგვიჭირდება.

## ერლინგ ჰოლანდი: „ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვარ“



მანჩესტერ სიტის ნორვეგიელმა ფორვარდმა ერლინგ ჰოლანდმა თავის ფორმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ჯერ საუკეთესო ფორმაში არ არის და მას დრო სჭირდება, რომ ოპტიმალური კონდიციები აღიდგინოს:

— ვხედავ, რომ ზოგჯერ მოედანზე არასწორ გადაწყვეტილებას ვიღებ, ეს კი იმის ბრალია, რომ ჯერ ბოლომდე ჩემი თამაში ვერ ვიპოვე, მაგრამ ვფიქრობ, ამას მალე მოვახერხებ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მეთევზე იშვიათმა ნადავლმა გაამდიდრა



ინდოეთში მეთევზემ უიშვიათესი თევზი დაიჭირა და ერთ დღეში გამდიდრდა.

ბედმა ოდიშას შტატის ბხადრაკის ოლქის მკვიდრს გაუღიმა. მის ანკესს წამოეგო 32-კილოგრამიანი ლაქებიანი გორბილი. იღბლიანმა მეთევზემ თავისი ნადავლი გასაყიდად აუქციონზე გაიტანა და მისი 310 ათას რუპიად გაყიდვა მოახერხა. ვაჭრობის გამარჯვებული ფარმაცევტული კომპანია გახდა.

ლაქებიანი გორბილი ძირითადად ინდოეთისა და ბანგლადეშის საზღვართან, სუნდარბანის რეგიონშია გავრცელებული, თუმცა ზოგჯერ ინდოეთის სხვა შტატების სანაპიროებთანაც ჩნდება. განსაკუთრებით ფასობს მისი საჰაერო ბუშტი და ხორცი, რომლებიც ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება. მას „ზღვის ოქროსაც“ უწოდებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 2 აგვისტოსათვის

**ვერძი** — სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** — სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** — ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** — გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** — შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** — კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** — მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** — ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** — სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** — პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** — მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— დღეს ჩემი ქმარი მეუბნება: „როცა ბრაზობ, ისეთი მშვენიერი ხარ!“

— მერე?

— მერე ის, რომ ვფიქრობ, აი თურმე რატომ არის, რომ სულ მუდამ ნერვებს მიშლის!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— აბა, როგორ გაიარე გასაუბრებაზე?

— შესანიშნავი იყო, წარმატებული.

— მაინც?

— სტეპლერი გამოვიყოლე.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

— აბა, რომელია ის სამი სიტყვა, რომელსაც ყველაზე ხშირად შეხვდები მთელ მსოფლიოში:

— „I Love you“.

— არა, ეს სამი სიტყვაა: „MADE IN CHINA“!

●●●

ცოლი ქმარს ცხარე კამათის შემდეგ ეუბნება:

— მორჩა, ახლა სამზარეულოში შევალ და მთელ ჭურჭელს დავლეწავ!

— მიდი, მიდი! პლასტიკატის ჭურჭელი ვიყიდე... მრავალსკანდალური!

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— ცოლს რატომ არ ირთავ?

— იცი, ერთხელ ქუჩაში ქალი მომიახლოვდა, გამომლანძღა, გამომთათხა, სახე ჩამომფხაჭნა, შემდეგ კი მეუბნება: „მაპატიეთ, ჩემი ქმარი მეგონეთ“!

●●●

მიყრუებული პროვინციიდან დედაქალაქში პირველად ჩამოსული მამა-შვილი სასტუმროში პირდაღებულები მისჩერებიან ლიფტის კარს. ამ დროს ინვალიდის სავარძელში ჩამჯდარი მსუქანი ქალი მივიდა ლიფტის კართან, ღილაკს თითი დააჭირა. კარი გაიღო, ქალი შიგნით შევიდა და ლიფტი დაიძრა. გარკვეული დროის შემდეგ ლიფტის კაბინა ჩამოვიდა, კარი გაიღო და იქიდან ულამაზესი ქერათმიანი ქალი გამოვიდა. ყბაჩამოვარდნილი მამა შვილს ეუბნება:

— სასწრაფოდ სოფელში დაბრუნდი და დედაშენი ჩამომიყვანე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— დღეს ალბათ წვიმა იქნება.

— თუ სახლში გვიან მივალ, ჭექა-ქუხილის თანხლებით.

●●●

აქცია სავაჭრო ცენტრში:

— შეიძინეთ მიკროტალღური ღუმელი, ჭურჭლის სარეცხი და სარეცხი მანქანა და საჩუქრად მიიღებთ რეზინის გასაბერ ქალს!

●●●

ციხის უფროსი ელექტროსკამზე მჯდომ სიკვდილმისჯილს ეკითხება:

— თქვენი უკანასკნელი სურვილი?

— გთხოვთ, ხელი მომკიდოთ, ასე უფრო მშვიდად ვიგრძნობ თავს.

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

— ძვირფასო, ჩემამდე არავისთან დადიოდი?

— რა თქმა უნდა, არა, ყველას მანქანა ჰყავდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რობერტ სტურუა დააჯილდოვეს



რეჟისორი რობერტ სტურუა დააჯილდოვეს. 84-ე დაბადების დღეზე იგი ბათუმის საპატიო მოქალაქის ტიტულის მფლობელი გახდა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა რობერტ სტურუას ქართული თეატრის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

## პიანისტი მარინა გაბუნია შვილის პიტბულმა დაგლიჯა



ჯულიარდის სკოლის ქართველი პედაგოგი, პიანისტი მარინა გაბუნია პიტბულმა დაგლიჯა. შემთხვევა ამერიკაში მოხდა.

ქალბატონ მარინას რამდენიმე დღის წინ შვილი გარდაეცვალა. პიანისტმა შვილის ძაღლი — 7 წლის პიტბული საკუთარ სახლში გადაიყვანა და, სამწუხაროდ, მისი მსხვერპლი გახდა.

**თამარ ივერი, ოპერის მომღერალი:**

— ენით აუწერელი ტრაგედია მოხდა. შესანიშნავი მუსიკოსი, პიანისტი მარინა გაბუნია საკუთარი შვილის პიტბულმა დაგლიჯა და გარდაიცვალა.

ორი კვირის წინ ქალს შვილი დაეღუპა ტრაგიკულად, მოტოციკლეტის ავარიით. დედამ შვილის პიტბული მასთან წამოიყვანა და ასეთი ტრაგიკული ფინალი... პიტბული უკიდეგანოდ ერთგულია მისი პატრონის და ეტყობა, ძაღლმა ჩათვალა, რომ ამ ქალმა დააშორა ის მის პატრონს. არ ვიცი, რა როგორ მოხდა, მაგრამ მთელი ამერიკის მედია შეძრა ამ ამბავმა. სიტყვები უძლურია ასეთ ტრაგედიასთან. ეს ძაღლი ამ ბიჭის ტანსაცმელზე არ აკიდებინებდა ხელს, იპარავდა და მათზე ეძინა თურმე. ეს ძაღლიც თავის ერთგულების მსხვერპლი გახდა და ეს მარინაც ასე დაღუპა. ღმერთო, ადგილზე მოუკლავს პოლიციას, მაგრამ რაღა დროსი იყო, საოცრად მიყვარს ძაღლები, მაგრამ მებრძოლი ძაღლების პანიკურად მეშინია.

## გაეროში საქართველოს გაწევრიანების იუბილეს ეროვნულმა არქივმა სპეციალური გვერდი მიუძღვნა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებიდან 30 წლის საიუბილეოდ ამ დღის ამსახველი ფოტო და ვიდეოდოკუმენტები გამოაქვეყნა.

საარქივო მასალა ეროვნულმა არქივმა გაეროს აუდიო-ვიზუალური ბიბლიოთეკიდან და ამავე ორგანიზაციის ფოტოარქივიდან მიიღო.

ამ დოკუმენტებთან ერთად სპეციალურ გვერდზე გამოქვეყნებულია ქართული პრესის გამოხმაურება საიუბილეო დღისადმი.

1992 წლის 31 ივლისს გაეროს გენერალური ასამბლეის 88-ე პლენარული სესიის 46-ე შეხვედრაზე საქართველო ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა. საქართველოს ისტორიისათვის ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე. ამავე დღეს გაეროს ნიუ-იორკის ოფისის წინ გაიმართა საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონიალი.

## ბათუმში შავი ზღვის ჯაზფესტივალი გაიმართება




ბათუმში შავი ზღვის რიგითი მე-15 ჯაზფესტივალი 12-14 აგვისტოს ჩატარდება.

ორგანიზატორები აჭარის რეგიონის სტუმრებს, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებულ საღამოებს ჰპირდებიან.

საიუბილეო ფესტივალის 3 დაუვიწყარი დღის სტუმრები მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები არიან. წელს ჯაზფესტივალს სტუმრობენ „ბორის ბენდ კომბინეიშენი“, „ნექსთ მუვმენთ“, ელ მაკეი და „ერს, ვინდ ენდ ფაია ექსპერიენსი“, ქენდი დალფერი და მისი ბენდი.

ფესტივალს ბათუმის ტენისის კლუბი უმასპინძლებს. ყოველი საფესტივალო დღე ჯემსეიშენით დასრულდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 5. ზღვის ფრინველი; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი, „მძიმე წყალი“; 10. სარწმუნოებითი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ფეხბურთის იტალიელ გულშემატკივართა მეტსახელი; 15. მეტალურგიული ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 16. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 4. სიბნელეში ჭუჭრუტანიდან შემოსული სხივი; 7. ფრანგი ტიფლოპედაგოგი, უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 11. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 12. მდინარე გაგრაში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 18. იტალიელი მოდელიორი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. მდინარე აშშ-ში.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*